პროლეტარეტო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1977
პარასკევი
11
თებერვალი
№ 35
(16772)
ფასი
2 კაპ.
1977

გაზეთი გამოდის 1920 წლის ვებერვალიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

დღეს თბილისში გაიზსნება საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის V ყრილობა

მზურვალე სალამი ფრილობის დელეგატებს — ჩვენს ძვირფას თანამოკალმეებს!

მექანიზატორები საგაზაფხულოდ ემზადებიან

საგაზაფხულო ახლოვდება და სოფლის მშრომელებსაც სულ უფრო ემატებათ საზრუნავი. ისინი მზურვალედ გამოეხმაურნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის წერილს სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობის საკითხებზე და კიდევ უფრო ენერგიულად აჩაღებენ სოციალისტურ შეჯიბრებას მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოებისათვის სანიმუშოდ მოსამზადებლად.

წელს მინდვრის სამუშაოთა მოცულობა მნიშვნელოვნად გაიზრდება და ყოველ მხვნელ-მთესველს გაზაფხულის პირველი დღეებიდანვე მართებს მაღალი ორგანიზებულობა, განსაკუთრებით დაძაბული მუშაობა. საქმე ის არის, რომ ნაადრევმა დაზამთრებამ მთელ რიგ რაიონებს აღარ დააცალა მზრალად ხვნის გეგმების მთლიანად შესრულება. დიდი ფართობები უნდა მოიხნას ვოლოგდის, ნოვგოროდის, კალინინისა და სხვა ოლქებში. აი რატომ არის ეროდენ საჭირო დროზე გავითვალისწინოთ ყველაფერი, მხედველობაში მივიღოთ ეს გარემოებანი, გავაცნოთ კონკრეტული დავალებები ყოველ ბრიგადას, თვითეულ ტრაქტორისტს, შევუქმნათ მიწათმოქმედთ მაღალნაყოფიერი შრომის პირობები.

თესვის წარმატება დიდად არის დამოკიდებული მანქანების სათანადო მომზადებაზე. სოფლის მშრომელები, რომლებმაც ფართოდ დაუჭირეს მხარი ბაშკირეთის, ივანოვოსა და ცელინოგრადის ოლქების მექანიზატორთა თაოსნობას, ცდილობენ ვადამდე და მაღალხარისხოვნად შეაკეთონ ტექნიკა. კარგ მაგალითს გვიჩვენებენ პატრიოტული მოძრაობის ინიციატორები — მათ უკვე გააწზადეს ყველა ნიადაგდასამუშავებელი და სათესი მანქანა-იარაღები, ამთავრებენ ტრაქტორების შეკეთებას, კარგად მიუდგით საქმე ნიკოლაევის ოლქში, რასაც მნიშვნელოვანწილად უწყობს ხელს რემონტის ორგანიზაციის პროგრესული ფორმა — ხაბრიგადო აგრეგატული მეთოდი. ყოველი ათი ტრაქტორიდან ცხრა უკვე გამზადებული აქვთ სამუშაოდ საქართველოსა და ესტონეთის მეურნეობებში.

მაგრამ ყველა კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში როდი უთმობენ ჯეროვან ყურადღებას საგაზაფხულო მზადებას, ზოგან ზოზინობენ, ჩამორჩნენ. მაგალითად, თურქმენეთში დააგვიანეს ტექნიკის სახელოსნოებში გაგზავნა, შეკეთების გასული წლის მეოთხე კვარტალის გეგმა აქ შეუსრულებელი დარჩათ. აი რატომ არის, რომ ახლა „თურქმენსოფლტექნიკაში“ დაგროვდა დიდძალი მანქანა-მოწყობილობა, რომელთა ნაწილი ღია ცის ქვეშ უყენიათ და ბოს დროოდ მოამზადებას ვერ ასწრებენ. ბევრი სახნავი აგრეგატი აქვთ შესაკეთებელი ყაზახეთში, რუსეთის ფედერაციის ზოგიერთ ოლქში. საჭიროა რაც შეიძლება მალე გამოვასწოროთ მდგომარეობა, დამატებით გავგზავნოთ სახელოსნოებში მექანიზატორები, უზრუნველვყოთ მათი შრომის ზუსტი რიტმი, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს რემონტის ხარისხი — საჭიროა მკაცრი კონტროლი დავუწესოთ ხარემონტო სამუშაოთა შემდინარეობას, არ დავუშვათ წუნი.

სოფლის ტექნიკურ აღჭურვას სახელმწიფო ამ ხუთწლეულში დიდ კაპიტალურ დაბანდებას — 42 მილიარდ მანეთს ახმარს. ჩვენს სოფლებში ინჟინერ-ტექნიკოსთა და მექანიკოსთა კადრები დაიზარდნენ, სწორედ მათ უნდა იზრუნონ იმისათვის, რომ ყოველ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობაში აგრეგატებს ორ ცვლად იყენებდნენ. როგორ მიაღწიონ ამას? საჭიროა გახუბრელად ნერგავდნენ შრომის მოწინავე მეთოდებს, წინასწარ მოემზადონ თესვის დროს მანქანების მომსახურებისათვის, შეკმნან კვანძები, აგრეგატებისა და სათადარიგო ნაწილების საცველი ფონდი, ჩამოაყალიბონ გამმართველი ოსტატთა რგოლები.

ПРАВДА
10 თებერვლის მოწინავე

მინდვრის საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებაში მნიშვნელოვანი მამობილიზებელი როლი ეკუთვნის სოფლის მექანიზატორთა შეჯიბრებას უმაღლესი შრომის ნაყოფიერების მიღწევისათვის. შარშან ზაფხულში ქვეყნის ყანებში მოქმედებდა ასი ათასზე მეტი კომპლექსური რგოლი და რაზმი, რომლებისთვისაც დამახასიათებელია მაღალი შრომითი მაჩვენებლები. ეკონომიკურმა სამსახურებმა, მეურნეობათა ხელმძღვანელებმა და სპეციალისტებმა უფრო ფართოდ უნდა განმარტონ, თუ რაოდენ ეფექტიანია ასეთი რგოლების გამოყენება არა მარტო მკის, არამედ თესვის კამპანიის დროსაც.

ტექნიკის საგაზაფხულო მზადება, მისი წარმატებული ექსპლოატაცია მინდვრად გადამწყვეტწილად არის დამოკიდებული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორთა კადრებით უზრუნველყოფაზე, მათს ცოდნასა და ოსტატობაზე. ასეთი ცოდნა კი თავისთავად არ ჩნდება. როსტოველთა გამოცდილება, რომელმაც მექანიზატორთა მასობრივი საყოველთაო სწავლება მოაწყვეს, კვალიფიციური მუშაკთა არმიის შევსების ხაიმედო წყაროს გვიქმნის. მაგრამ ჯერჯერობით ეს გამოცდილება სუსტად ვრცელდება. მაგალითად, ორორლის ოლქში მანქანის მძღოლები აკლიათ, თითქოს უფრო მეტი ახალგაზრდა უნდა გავგზავნოთ სოფლის პროფესიულ-ტექნიკურ სახწავლებლებში, მაგრამ ამ რეზერვს ყოველწლიურად სრულად ვერ ვიყენებთ. კიროვისა და დნეპროპეტროვსკის ოლქებში კურსებზე გეგმით გათვალისწინებულზე უფრო ნაკლებ მექანიზატორებს ამზადებენ. უკეთ უნდა მოვაწყოთ მასობრივი სწავლება სახწავლო-საწარმოო კომბინატებში, მეურნეობებში და „სოფლტექნიკის“ გაერთიანებებთან არსებულ კურსებზე, ვიზრუნოთ იმისათვის, რომ რაც შეიძლება მეტი სოფლელი შრომელი დაეუფლოს სხვადასხვა ტექნიკას.

მოსავლისათვის ბრძოლა საყოველთაო-სახალხო საზრუნავია. ბევრი რამ უნდა გაკეთონ უახლოეს თვეებში სოფლის შეკეთების შემსრულებელ სამრეწველო საწარმოთა კოლექტივებმა. კარგად ერთმევენ თავს ამ შეკეთებს „როსტოვსოფლმანქანა“, მინსკის ხარტრაქტორო ქარხანა, „ვორონეჟსოფლმანქანა“ და სხვები. მაგრამ არიან მოვალეებიც, მათ შორის პავლოდარისა და ლიპეცკის ხარტრაქტორო, ტამბოვის საკისრის ქარხნები, „ალტაისოფლმანქანა“, ოდესის ოქტომბრის რევოლუციის სახელობის ქარხანა. იმის გამო, რომ იაროსლავლის მოტორის ქარხანამ არ შეასრულა სოფლად მუხლა ლილების, ბლოკის დამზადებისა და სხვა დეტალების გაგზავნის ვალდებულებანი, სახელოსნოებში „კ-700“ მარკის ტრაქტორის დიდძალი დაშლილი ძრავები დაგროვდა და მათი რემონტი ჭიანურდება. საჭიროა ყველგან დაუწესდეს მკაცრი კონტროლი ამ დიდმნიშვნელოვანი შეკეთების რეალიზაციას, რათა კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი დროზე იღებდნენ მანქანებს, სათადარიგო ნაწილებს, სხვა მატერიალურ-ტექნიკურ საშუალებებს.

საბჭოთა ადამიანები დიდი ოქტომბრის მე-60 წლისთავის ღირსეულად შეხვედრისათვის ემზადებიან. ახალი წარმატებებით გავახაროთ სამშობლო — ამ მიზნისაფებით შობილი ინიციატივა და შეთანხმებული ფართო ფრონტი, ეფექტიანი ორგანიზაციული ღონისძიებანი, ეკონომიკურ-ტექნიკური ღონისძიებანი, ეკონომიკურ-ფინანსური ღონისძიებანი, ეკონომიკურ-ფინანსური ღონისძიებანი, ეკონომიკურ-ფინანს

სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებანი — ცხოვრებაში!

ჟურნალისტი, დრო, პრობლემები

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის V ყრილობის წინ გაზეთ „კომუნისტის“ კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა ყრილობის ზოგიერთ დელეგატს, რომლებიც ტელევიზიასა და პრესის ორგანოებში მუშაობენ. აი ეს კითხვებიც:

1. რით მიიღიცართ ყრილობაზე და რა ჟურნალისტური რეზერვების ამოქმედებას ითვალისწინებთ, რომ უკეთ გააშუქოთ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის საკითხები?

2. რა მიიგბრძნიათ თქვენი შემოქმედებითი კოლექტივის სადღესასწ. პრობლემად?

3. როგორია თქვენი შეხედულებანი, წინადადებები და სურვილები ჟურნალისტთა სწავლების, პროფესიული დაოსტატების საკითხებზე?

მილიონიან აუდიტორიასთან პირისპირ

რესპუბლიკის ჟურნალისტთა ფორუმი საქართველოს რადიოს 50-ე წლისთავისა და ტელევიზიის მე-20 წლისთავის აღნიშვნის დღეებს დაემთხვა და, ბუნებრივია, ჩვენი კოლექტივი განსაკუთრებული ზეიმური განწყობილებით ხვდება ყრილობას. მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, ჩვენს პასუხისმგებლობას კი არ ამსუბუქებს, არამედ პირიქით — რაც უფრო ხანგრძლივი პერიოდის შრომას ჯამებ, მით უფრო ნათლად ხედავ, რომ რაც გაკეთდა, ის არ კმარა.

მაინც რა შეიძლება ახლა ჩაითვალოს ტელევიზიის აქტივში? ვფიქრობ, უპირველეს ყოვლისა ჩვენი ქვეყნის, რესპუბლიკის ცხოვრების ფეხდაფეხ უფრო შეწყობილი მიყოლა, ოპერატიულობა და მეტი კომპეტენტურობა. მაყურებელი უთუოდ იმასაც იგრძნობდა, რომ ახალი ავტორები და ახალი სახეები გამოჩნდა ეკრანზე. უკანასკნელ ხანს ახალმა ქართულმა სატელევიზიო ფილმებმაც კვლავ გაახარა ჩვენი გულშემატკივრები. ვფიქრობთ, ინტერესით გაეცნობიან მაგ. ხელები ყრილობის დღეებში ეკრანზე საქართველოს ტელევიზიის მხატვართა პირველ საჯარო გამოფენასაც.

ტელეჟურნალისტიკა ყველაზე ახალგაზრდაა ჩვენს დარგში და, ცხადია, გამოუვლინებელი რეზერვებიც მეტი მოეძებნება. მათ სრულად ამოქმედებას უპირველეს ყოვლისა პარტიის XXV ყრილობის დიდ მიზანდასახულობათა შესრულებისათვის ბრძოლა განაპირობებს. იმ დიდ პოლიტიკურსა და შრომითს აღმავლობას, რომელიც ახლა ესოდენ ნიშანდობლივია ჩვენი რესპუბლიკისათვის, არ შეიძლება ჟურნალისტი გულდამშვიდებით შესცქეროდეს, არ ფიქრობდეს სიახლეზე, არ ეძებდეს შემოქმედების ახალ გზებს, ახალ ფორმებს. უპირველესი რეზერვი კი სწორედ ახლის ძიებაა, ტრაფარეტულის, შაბლონურის უარყოფა და ორიგინალურის, შთამბეჭდავის მიგნება. ამიტომაც ვთქვით ჩვენ უარი მთელ რიგ მოძველებულ ციკლებზე, ზოგიერთ მოსაწყენ გამომსვლელებზე, უინტერესო გაფორმებაზე.

მაყურებელმა ეს იქნებ ჯერ კიდევ ვერც კი იგრძნო მთელი სისავსით, მაგრამ მაინც აშკარაა მისი ინტერესი მთელი რიგი ახალი გადაცემებისადმი. მათ შორის უპირველეს ყოვლისა შიდაპოლიტიკური მიმოხილვები უნდა დავასახელო. პოლიტიკური მიმოხილველების ვ. გურგენიძის, რ. გაჩეჩილაძის, ზ. გელეყვას და გ. სიმონიძის საუბრები ძირითადად სწორედ იმ საკითხებს ეხება, რომლებიც პარტიის ყრილობათა გადაწყვეტილებებიდან გამომდინარეობენ და რესპუბლიკისათვის უმნიშვნელოვანეს პრობლემებს წარმოადგენენ.

რა მიგვაჩნია ჩვენი შემოქმედებითი კოლექტივის სადღესასწ. პრობლემად? ეს არის დიდი ოქტომბრის რევოლუციის მე-60 წლისთავის საკადრისი გადაცემების შექმნა, პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლის მთელი პათოსის შთამბეჭდავად ასახვა, უშუალოდ, მართლად საუბარი მრავალმილიონიან აუდიტორიასთან ყველაფერ იმაზე, რაც პატიოსან ადამიანებს აღელვებს, ახარებთ, აწუხებთ და რომელთა გადაჭრა თვითეული ჩვენთაგანის გულმოდგინებას, საქმის ერთგულებასა და კეთილშობილებაზეა დამოკიდებული.

და კიდევ სიამოვნების, ხალისის, სითბოს შეტანა ყველა ოჯახში, რათა არავინ არ თიშვდეს ტელევიზორს და ყოველ ღამე ნანობდეს, რომ ემშვიდობება ტელედიქტორი.

რაც შეეხება მესამე კითხვაზე პასუხს, მიმაჩნია, რომ ჟურნალისტთა ცალკეულ დარგებში დასპეციალება აუცილებელია. ჭეშმარიტი კომპეტენტურობის მიღწევა მხოლოდ ამ გზით წარმომდგენია. უთუოდ უნდა გამოიძებნოს ჟურნალისტთა უფრო ოპერატიულად და ამომწურავად ინფორმირების საშუალებანიც.

„სამყაროს ფანჯარაც“ უფრო ფართოდ უნდა გაიღოს ჟურნალისტებისათვის. ყველა საშუალებაა უნდა ვეცადოთ, რაც შეიძლება მეტი რამ ნახოს ჟურნალისტმა საკუთარი თვალით, მაშინ უფრო დაეჯერებს მას მკითხველიც, მსმენელიც და მაყურებელიც.

რით შეიძლება დავეხმაროთ ერთმანეთს? უპირველეს ყოვლისა ურთიერთანამშრომლობით. სხვისი არ ვიცი და ტელევიზიაში ჟურნალისტისათვის ზღვა საქმეა. სხვაგან მომუშავე ჩემს კოლეგებს რომ ვიცნობ, ვიცი რამდენი სარგებლობის მოტანა შეუძლიათ მათ ტელეჟურნალისტიკისათვის, მაგრამ, საბედნიეროდ, უმრავლესობა გაგვირბის. ცოდვა გამხელილი სჯობია, ვფიქრობთ, ტელევიზიის ზოგიერთი სიტუაციის გამო გვარიდებენ თავს. დასანანი კია, რადგან ამ სიძნელეებს ბევრი სიტკბოც ახლავს.

ი. მესხიშვილი,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.

მომთხოვნელობის ზრდის კვალობაზე

დღეს, ისევე როგორც პრესის ყველა ორგანოს, გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ კოლექტივის მთელი ყურადღებაც სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა შესრულებისაკენ არის მიმართული. საქმე ეხება სოციალისტური შეჯიბრების მასალების უკეთ გაშუქებას, მოწინავეთა გამოცდილების დანერგვას, შუშაობის ლენინური სტილის დამკვიდრებას.

ჩვენი სარედაქციო კოლექტივის ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს საზოგადოებრივი აზრის შესწავლას, რაშიც კარგ სამსახურს გვიწევს „ბრიგადა“ მრგვალი მაგიდის“ გარშემო, მკითხველთა კონფერენციები, ცალკეული შეხვედრები.

ბუნებრივია, ჩვენთანაც მრავალი არის ჟურნალისტური რეზერვები. მათ შორის განსაკუთრებული ადგილი უნდა დაეთმოს საგაზეთო წერილების ბრძოლისუნარიანობის ამაღლებას, ზოგიერთი წარუმატებლობის მიზეზებში ჩაწვდომას, კრიტიკის „ნომენკლატურის“ ამოღებას.

და ბოლოს, მთავარი რეზერვი — ჟურნალისტებთან მუშაობის გაუმჯობესება. ჟურნალისტს მოეთხოვება იყოს სწრაფი შემსრულებელი, ჭქონდეს საქმის ზედმიწევნით კარგად და პატიოსნად შესრულების უნარი. ამავე დროს, თვით ჟურნალისტსაც უნდა შეექმნას მუშაობისათვის ნაყოფიერი ატმოსფერო. ამ მხრივ, უთუოდ, ჩვენთანაც კარგ პრაქტიკულ ნაყოფს გამოიღებს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ამსწინანდელი დადგენილება „მასობრივი ინფორმაციისა და პროპაგანდის საშუალებებისადმი სკკპ ტომსკის საოლქო კომიტეტის ხელმძღვანელობის შესახებ“.

გაზეთის კოლექტივის სადღესასწ. პრობლემებს შორის ერთ-ერთ მთავარ საკითხად რჩება ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ ბრძოლის ფორმებისა და მეთოდების სრულყოფა. ბევრს ეფიქრობთ იმაზე, თუ ძველის, დრომოჭმულის უკუგდებასთან ერთად როგორ შევუწყოთ ხელი ახლის, პროგრესულის დამკვიდრებას. ეს კი ადვილი საქმე როდია.

ჟურნალისტთა პროფესიული დაოსტატების საქმე ჯერჯერობით ვერ უპასუხებს მოთხოვნებს. ჩვენი აზრით, გადასასინჯია სპეციალური კურსების პროგრამა, რადგან იქ, თუმცა კარგად არის დაყენებული ჟურნალისტთა საერთო დონის ამაღლების საქმე, მაგრამ უკანა პლანზე რჩება მთავარი — ჟურნალისტური საქმიანობის „გამეორება“...

ჩვენი აზრით, რესპუბლიკურ და საკავშირო პრესაში შემოქმედებითი მუშაკების მივლინებას მეტი გასაქანი უნდა მიეცეს. ის უნდა გრძელდებოდეს არანაკლებ ერთი თვისა, ამასთან, მივლინებული პირი ბეჭდვითი ორგანოს მუშაკის მოვალეობას უნდა ასრულებდეს. მხედველობაში გვაქვს მუშაობა და არა უბრალო „მეთვალყურეობა“.

უნდა აღინიშნოს, რომ ჯერჯერობით დაბალია პრესის მუშაკთა იურიდიული მომზადების დონეც.

ი. კვეკვესკირი,

საოლქო გაზეთ „საბჭოთა აფხაზეთის“ პარტიული ცხოვრების განყოფილების გამგე.

აქტივი — ჩვენი დასაყრდენი

რამდენად დიდია ჩვენი ქმაყოფილების გრძნობა, როცა ვიცით, რომ ქალაქის მშრომელთა დიდ წარმატებებში, რასაც ისინი ბეჭდავენ ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის ბრძოლაში აღწევენ, არის გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“, ბისი შტატისა და უშუალო კორესპონდენტების წვლილი.

რედაქციის გეგმებში თავის ასახვას პოვებს პარტიული ორგანიზაციებისა და შრომითი კოლექტივების მნიშვნელოვანი ამოცანები, პრობლემები, რომლებიც გადაწყვეტას ელის. გაზეთის განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სოციალისტური შეჯიბრება, რომლის დევიზია „არცერთი ჩამორჩენილი და დისციპლინის დამრღვევი — ჩვენს გვერდით“! აღსანიშნაია, რომ რუსთაველ მეტალურგთა თაოსნობასთან დაკავშირებით ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოში მოვაწყეთ შეხვედრა მრგვალ მაგიდასთან. ასეთივე შეხვედრები, მხოლოდ სხვა საკითხებზე, მოვაწყეთ დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს მუშებთან, სოფლის მეურნეობის მუშაკებთან, მეცხოველეებთან. სულ ახლახან კი მრგვალ მაგიდასთან შეხვედით ვაჭრობისა და საყოფაცხოვრებო მომსახურების სფეროს მუშაკებს, რითაც ერთგვარი პრაქტიკული ნაბიჯი გადავდგით საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეხუთე პლენუმის მასალების პროპაგანდისა და მისი გადაწყვეტილებების განხორციელების მიზნით.

გაზეთმა მთელი ნომერი მიუძღვნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1976 წლის იკლისის დადგენილებას, განაზოგადა მისი ცალკეული პუნქტები, და შეეხმაინენი მარგანეცის მშრომელთა ქალაქის საქმიანობას.

ბოლო ხანს უფრო ფართოდ ვაშუქებთ ხალხთა მეგობრობის თემას. გაზეთის რამდენიმე ნომერი მიეძღვნა მოძმე რუს, უკრაინელ და ბელორუს ხალხებთან მეგობრობას. ასევე, იქაურ გაზეთებში დაიბეჭდა ჩვენი ქალაქის ცხოვრების ამსახველი მასალები.

ვცდილობთ საბჭოთა ჟურნალისტიკის უმდიდრესი არსენალი გამოვიყენოთ ცხოვრების საბჭოური წესის ნათელი პროპაგანდისათვის. ამ თემაზე გაზეთში უკანასკნელ ხანს დაიბეჭდა რამდენიმე საინტერესო წერილი.

რედაქციას თავის გარშემო შემოკრებილი ჰყავს მუშსოფლკორთა ფართო აქტივი. მეცადინეობას შეუდგა მუშსოფლკორთა სკოლა. ჩვენი მიზანია კორესპონდენტთა ქსელი კვლავაც გავაფართოოთ, გაზეთის მუშაობაში ჩავაბმთ რაც შეიძლება მეტი ადამიანი. საპირველ მიგვაჩნია რედაქციაში შეიქმნას სოფლის მეურნეობის განყოფილება, რადგანაც ქალაქის ზონაში ბევრი სოფელი შედის და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ხვედრითი წილიც მნიშვნელოვანია ჩვენი ქალაქის მომარაგებაში. აუცილებელია გაზეთის სტაბის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, რედაქციის ფოტომასალებით მომარაგება. ჩვენს სადღეისო ამოცანებად მიგვაჩნია მეტი ბრძოლისუნარიანობის გამოგლინება, მეტი კომპეტენტურობა, ნაკლოვანებებთან შეურიგებელი ბრძოლა.

იმისათვის, რომ ჩვენი რესპუბლიკის ახალგაზრდა ჟურნალისტთა კადრებმა მეტი პრაქტიკა, წრფობა მიიღონ და დაოსტატდნენ, საჭიროდ მიმაჩნია გაფართოვდეს მათი კონტაქტები გამოცდილ კოლეგებთან. საქმისათვის სასარგებლო იქნება, თუ რესპუბლიკური პრესა ქალაქებისა და რაიონების ახალგაზრდა ჟურნალისტებს დაუთმობს ადგილს თავის ფურცლებზე. სასურველია მუშსოფლკორთა სკოლების მეცადინეობებზე ლექციები წაიკითხონ მოწვეულმა ცნობილმა ჟურნალისტებმა.

ა. მეცხოვრიშვილი,

გაზეთ „ჭიათურის მაღაროელის“ რედაქტორი.

კადრებზე, უპირველეს ყოვლისა!

რით მივდივართ ყრილობაზე? ამ კითხვაზე ჩვენი რედაქციის კოლექტივსაც აქვს ცოტაოდენი სათქმელი. გაზეთის ფურცლებზე ამჟამად სისტემატურად ვაქვეყნებთ სკკპ XXV და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობების გადაწყვეტილებათა განსახორციელებლად რაიონის მშრომელთა საქმიანობის ამსახველ მასალებს. ვიყენებთ ახალ რუბრიკებს: პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა გზით“, „ხუთწლედის ყოველი დღე — დამკვიელური“, „შეჯიბრების დევიზი — ეფექტიანობაც, ხარისხიც“, „მოწინავეთა გამოცდილება — ყველას“, „სოციალისტური შეჯიბრების დროშით“... ამავე დროს ხშირად იბეჭდება თემატიკური გვერდები სასოფლო-სამეურნეო, სამრეწველო საწარმოთა და სხვა დარგების მშრომელთა კოლექტივების გარჯაზე, პარტიის მიზანდასახულობათა განხორციელებისათვის ბრძოლის კონკრეტულ მაგალითებზე.

ჩვენს გაზეთში პუბლიკაციათა ხარისხს ისიც ამაღლებს, რომ მუდმივი კავშირი გვაქვს აქტიურ მკითხველებთან: ხშირად იბეჭდება მაგ მიერ ოპერატიულად მოწოდებული ინფორმაციები, კორესპონდენციები და კრიტიკული წერილებიც. ახლა გაზეთს 300-მდე შტატგარეშე კორესპონდენტი ჰყავს. რაიონის საბჭოთა მეურნეობებში და მსხვილ სამრეწველო საწარმოებში ჩამოყალიბებულია „საგუშაგოები“. გათვალისწინებული გვაქვს დავწესებოთ ჩვენი გაზეთის სპეციალური პრიზები რაიონის სოფლის მეურნეობის ძირითად დარგებში— მებოსტნეობასა და მეცხოველეობაში სოციალისტური შეჯიბრების გამარჯვებულთა დასაჯილდოებლად. შემოვიღებთ ახალ რუბრიკებს, რომლებიც უფრო მკაფიოდ გააშუქებს რაიონის მშრომელთა კოლექტივების ბრძოლას პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

ცნობილია, რომ ადრე ჩვენი პარტიის ერთ-ერთი მთავარი ლოზუნგი იყო: კადრები წყვეტენ ყველაფერს. ვფიქრობ როგორც სხვაგან, განსაკუთრებით ჟურნალისტურ ფრონტზე ეს ლოზუნგი მუდამ აქტუალურია. ყველას, ვინც ამ საპატიო უბანზე მუშაობს, უეჭველად ექნება გამოცდილი, თუ რაოდენ აუტანელი, ბირდაპირ ნერვების მომშლელია შემოქმედებითს კოლექტივში იყოს თანამშრომელი, რომლის ქალამი, როგორც იტყვიან, არც ჭრის და არც კერავს. რაიონული გაზეთების პრაქტიკაში ასეთი მაგალითები ძნელი მოსაძებნი როდია. ცხოვრება თანდათანობით მდიდრდება, მრავალფეროვანი ხდება, სულ ახალი და ახალი პრობლემები ჩნდება, რომლებსაც ახლებური ასახვა, ახლებური აღქმა სჭირდება.

ერთ-ერთ პრობლემად უეჭველად მიმაჩნია ავრეთვე მატერიალური ბაზა. რაიონულ გაზეთებსაც სჭირდებათ მიხედვა, სტამბების ტექნიკური აღჭურვილობა ძალზე მძიმეებულია, განსაკუთრებით ღარიბია სასათაურო შრიფტების გარნიტურები, ძნელად ხელმისაწვდომი გახდა სხვადასხვა სახის პოლიგრაფიული ბაზები. ეს და ამის მსგავსი სერიოზული ნაკლოვანებები ძალზე აფერხებენ გაზეთის ტექნიკურ გაფორმებას, ბეჭდვის ხარისხს.

დ. ბოლოს, პასუხი მესამე კითხვაზე: ვინაიდან კვალიფიციურ ჟურნალისტთა კადრების მომზადება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხდება, ამიტომ მთავარი აუცილებელი უნდა მიექცეს სტუდენტთა როგორც თეორიულ, ისე პრაქტიკულ მომზადებას. სამწუხაროდ, უნივერსიტეტდამთავრებულ ჟურნალისტებს ზოგჯერ ნათელი წარმოდგენა არა აქვთ გაზეთის ნომრის დაგეგმვის, მაკეტის შედგენისა და საერთოდ რედაქციის მუშაობის დაგეგმვის საკითხებზე.

სასურველია, რაიონული გაზეთის მუშაკი, წელიწადში ერთხელ ერთი თვით რესპუბლიკური გაზეთების რედაქციებში სტაჟირებას გადიოდეს. ამ დროს იგი უნდა გაეცნოს, მაგალითად, ნომრის დაგეგმვას, დაესწროს რედკოლეგიის სხდომებს, გაეცნოს მთლიანად რედაქციას, მისი სამდივნოს მუშაობის ხასიათს...

ასევე კარგი და სასარგებლო იქნება ჟურნალისტთა კავშირმა ხშირად მოაწყოს რაიონული გაზეთების მუშაკთა შეხვედრები რესპუბლიკური ჟურნალ-გაზეთების რედაქციების მუშაკებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების თვალსაჩინო მოღვაწეებთან. კარგი იქნება, თუ რაიონული გაზეთის პერსპექტიულ თანამშრომლებს მივავლენთ ცენტრალური და მოკავშირე რესპუბლიკების ჟურნალ-გაზეთების რედაქციებში.

ა. დვალიშვილი,

გარდაბნის რაიონის გაზეთ „სამგორის“ რედაქტორი.

ბრძოლიანი დამრიგებელი

ჩვენი რესპუბლიკის ჟურნალისტთა კავშირის V ყრილობას, რომელიც დღეს იწყებს თავის მუშაობას, წინ უძღოდა ჟურნალისტთა პირველადი ორგანიზაციების საანგარიშო-საარჩევნო კრებები, საქალაქო და სარაიონთაშორისო ორგანიზაციათა კონფერენციები, ავტონომიური რესპუბლიკების ჟურნალისტთა კავშირების ყრილობები. ისინი წარიმართა აქეთ-იქეთ, ჟურნალისტური ცხოვრების პრობლემებზე გულღია და საქმიანი სჯა-ბაასით. ჟურნალისტებთან ერთად ამ საანგარიშო-საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობდნენ მუშა და სოფლის კორესპონდენტებიც. მათ შორის არის თბილისის ელმავალსაშენებელი ქარხნის საამწყობო საამქროს კომუნისტური შრომის ბრიგადის წინამძღოლი ბერამ მეტონიძე, რომელიც თბილისის ჟურნალისტთა საქალაქო კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა.

აი ეს სიტყვაც:

დღეს მე ფრიად საპატიო მისია მაკისრია — ლეგენდარული ქალაქის მუშათა კლასის სახელით მივესალმო თბილისის ჟურნალისტთა V კონფერენციას და ორიოდე სიტყვა მოგახსენოთ ჩვენს ყოველდღიურ საქმიანობაში პრესის ძალასა და როლზე, ჩვენს სურვილებზე და ცოტაოდენიც — პრეტენზიებზე.

პრესა, რადიო, ტელევიზია მარტო ინფორმაციის წყარო როდია მკითხველისათვის. იგი უდიდესი სტიმულის მომცემი და დამრიგებელია. როცა ჩვენი საქმეების, ჩვენი ადამიანების, თანამოსაქმეების შესახებ გკითხულობთ ან ეისმენთ, როცა მათს შრომითს მიღწევებს გვაცნობთ თქვენ, ჟურნალისტები, თითქოს ძალა გვემატება, გვეამაყება და უფრო ხალისითაც ვეჭიდებით საქმეებს, ხუთწლედის საქმეს.

ხოლო ის გამოცდილება, რომლის შესახებაც ხშირად მოგვითხრობთ ხოლმე თქვენს წერილებში, თქვენს გადაცემებში, ნამდვილად ფასდაუდებელია. ერთი შეხედვით შეუძლებელია მათი „ეკონომიური ეფექტის“ გამოთვლა, მაგრამ თუ კარგად ჩაუკვირდებით, ეს ხომ ჩვენი ყოველდღიური შრომის ნაყოფიერების ამაღლების ამოუწურავი რეზერვია.

ყველას გვახსოვს, მაგალითად, როგორი თანშიმდევრობით აქვეყნებდნენ მასალებს გაზეთები „თბილისი“ და „ვეჩერნი ტბილისი“ სოციალისტური შრომის გმირის გ. კურტანიძის თაოსნობისა და მისი მიმდევრების, სახელგანქმული მშენებლის ზლობინისა და თბილისელი ზლობინელის, გალდავის შესახებ. ასეთი მასალები ხომ საუკეთესო სკოლაა, გამოცდილების გაზიარების დაუსწრებელი სკოლაა, სადაც ბევრ რამეს სწავლობს კაცი. ასეთი მაგალითის ჩამოთვლა დაუსრულებლად შეიძლება და ამაში თქვენი, ჟურნალისტების, უდიდესი დამსახურებაა: კიდევ ერთი მაგალითი მინდა დავასახელო: 1973 წლის აგვისტოში ახტორის ქარხანა „პრომსვიაზში“ ხარატ პოკლონსკის წინადადებით შეიქმნა კომპლექსური ბრიგადა. მასში გაერთიანდა ერთი საამქროს სხვადასხვა უბნებზე მომუშავე 75 მუშა. ისინი ერთმანეთან დაკავშირებულნი არიან ტექნოლოგიური პროცესით პირველი ოპერაციიდან ბოლო ნამზადამდე: ეს იყო ერთ-ერთი პირველი ცდა მრეწველობაში გამოეყენებინათ ცნობილი მშენებლის ზლობინის კომპლექსური ბრიგადის მუშაობის გამოცდილება.

პოკლონსკის საცდელი ინიციატივის გავრცელებაშიც მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ჩვენმა ჟურნალისტებმა. პირადად მე ამ გამოცდილების შესახებ წავიკითხე „პრავდაში“. ჩვენი ქარხნის წარმომადგენლები სოფლის ოლქში გაემგზავრნენ, რათა ღრმად ჩასწვდომოდნენ სამეის შინაარსს: ასე გაჩნდა ჩვენს ქარხანაში და საერთოდ პირველად ჩვენს რესპუბლიკაში სამეურნეო ანგარიშზე მომუშავე ბრიგადები.

საკითხის ორგანიზაციულ გადაწყვეტასა და მეთოდის გავრცელებაში დიდად დაგვეხმარა ჩვენი საწარმოს მრავალტირაჟიანი გაზეთი „ელმავალმშენებელი“, რომლის მუშაკები სისტემატურ მუშაობას ეწევიან ახალი გამოცდილების განზოგადებისათვის. მაგრამ აქვე აი რა უნდა ვთქვა: ჩვენ ყველას კარგად გვახსოვს ლენინდ ილიას-ძე ბრეჟნევის სიტყვები პარტიის XXV ყრილობაზე: „მთავარია, ამხანაგებო, რომ არცერთი ინიციატივა არ ჩაკვდეს“, მაგრამ, სამწუხაროდ, ხშირად სწორედ პირიქით კი ხდება: გაზეთი აიტაცებს მშრომელთა კოლექტივების ინიციატივას, მხატვრულად მოგვითხრობს მის შესახებ, როგორც იტყვიან, აურზაურს ატეხავს და სულ მალე კი დავიწყებას ეძლევა.

პარტიის XXV ყრილობაზე ჰამნად აღიერდა დიდი საბჭოთა ხალხის, შრომისმოყვარე და მამაცი, სულიერად მდიდარი და გონებრივად დაჯილდოებული წრომელების საგმირო საქმეები და მათ შესახებ ისევე შთამბეჭდავად უნდა ვწეროთ, როგორც ეს ითქმა ყრილობაზე. მაგრამ უნდა გამოვტყდეთ, რომ ხშირად იწერება მშრალად და უფიურულად. გამოდის არა ნარკვევი, ჩანახატი, არამედ ბიოგრაფიული მონაცემების ჩამოთვლა. ადამიანი მთელი თავისი ფიქრითა და მისწრაფებებით კი ნაწილობრივ განზე რჩება.

მომიტევეთ კადნიერება და თქვენს მასალებში ხშირად არ ჩანს ცოცხალი ადამიანი თავისი ადამიანური ტკივილებით, ფიქრით, მიზნებით: ასე ჩნდება მასალები, რომლებიც ტყუპებივითი ჰგვანან ერთმანეთს და რომლებიც აღარიბებენ ადამიანს, ჩვენი დროის გმირს.

კიდევ ერთი: გაზეთი არ იშურებს ადგილს მუშათა პორტრეტებისათვის. ინჟინერთა კადრები კი ჟურნალისტებმა მიღმა რჩებიან: ვისურვებდი, რომ ეს დამოკიდებულება ჩვენი სამეცნიერო-ტექნიკური ინტელიგენციის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების მიმართ უახლოეს დროში მაინც გამოსწორდეს.

ტექნიკური აზრის საუკუნეში ჩვენივე წიაღიდან გამოზრდილი ინჟინერ-ტექნიკური მუშაკების დიდი და ნიჭიერი არმიისაგან მუშის შრომა განუყოფელია. ამიტომ გვინდა მათს შესახებაც ხშირად წაიკითხოთ საინტერესო ნარკვევები, მოვისმინოთ გადაცემები.

როგორ ჩნდება გაზეთში ნაკლებშინაარსიანი და ნაკლებ გამომსახველი გამოსვლები? ვფიქრობ, ერთ-ერთი მიზეზი სხვისი ხელმოწერით მასალის გაშეებაა ისე, რომ ამის შესახებ თითქმის არაფერი იცის ავტორმა. ვთქვათ, გამოვიდა რაიმე დადგენილება და მიმდინარეობს ლონისძიება ქალაქის მასშტაბით. კორესპონდენტებისაგან სასწრაფოდ მოითხოვენ გამოხმაურებას, მაშინ, როცა ხალხი არც კი გასცნობია დადგენილებას და ჯერ არ გაუაზრებია იგი. აი რატომ გამოდის ასეთი გამოხმაურებები მშრალი, ერთფეროვანი. ჩვენზე უკეთესად ეს თქვენ იცით, ამხანაგნო. მაშ როგორ გაგითავისუფლოთ თავი ასეთი შემოხვევისაგან? გაჭირდებოდა ეხლავე მუშაკორებთან კავშირის გაფართოებაში. ჩვენს ეკრანებზე რამდენი ადამიანია, რომლებსაც შეუძლიათ ნათლად, სწორედ და ნიჭიერად გამოთქვან თავიანთი აზრი! რა მუშაობა ტარდება მუშაკორის პრაქტიკული გამოცდილების გაღრმავებისათვის?

ჩვენს ქარხანაში ბევრი მუშა-მოსამსახურე აქტიურად თანამშრომლობს გაზეთში. ესენი არიან ელექტროშტაბელერების საამქროს ოსტატი გ. ვორობჩენკო, ელექტროშემკეთებელი საამქროს ელექტრიკოსი ა. ცატინიანი, ამწყობი საამქროს ოსტატი გ. ნავდარაშვილი, მთავარი ტექნოლოგის მოადგილე ბ. ნანი.

რატომ არ უნდა მოვაწყოთ მათთვის და ითობთან მათნაირი მუშკორისათვის მოკლევადიანი კურსები, სადაც შეეფრჩევდით მათ საცნობარო ლიტერატურას და მივცემდით კონკრეტულ დავალებებს? მუშკორების მომზადების ცენტრად შეიძლება მრავალტირაჟიანი გაზეთებიც ვაქციოთ (მათი რიცხვი ხომ მარტო ჩვენს ქალაქში 15-ს აღწევს), მუშაობას კი სწორ მიმართულებას მისცემდნენ „თბილისი“ და „ვეჩერნი ტბილისი“.

ხშირად გაგიგონიათ, ალბათ, ასეთი გამოთქმა: „გაზეთში ეწერა!“ ამას მაშინ იტყვიან ხოლმე, როცა რაიმე აზრის დადასტურება უნდათ. ეს კი იმას ნიშნავს, რომ გაზეთის ყოველ სიტყვას უდიდეს მნიშვნელობას ენიჭებენ, გაჯერი მისი. მაშასადამე, ყოველი დასკვნა, შენიშვნა გაზეთში უნდა იყოს საფუძვლიანად მოფიქრებული. განსაკუთრებით სრულყოფილი. მკითხველი თვლის, რომ ჟურნალისტს არა აქვს უფლება არც შეცდომისა და არც არასწორი ინფორმაციისა. როგორაა ამ მხრივ საქმე სინამდვილეში? სამწუხაროდ, შეცდომები ზოგჯერ მაინც იპარება. ამასწინანდელ გაზეთ „თბილისის“ მიერ გამოქვეყნებულ ერთ ფოტოზე, რომელზეც აღბეჭდილია ქარხნის საკონსტრუქტორო ბიუროს თანამშრომლები, შეცდომით წერია გვარები. არცთუ იშვიათია შეცდომები ჯგუფურ ფოტოსურათებშიც.

ამასთან დაკავშირებით კიდევ ერთ საკითხს მინდა მივაქციო თქვენი ყურადღება. გაზეთი ხშირად უნდა გამოდიოდეს პრობლემურ საკითხებზე კრიტიკით, მაგრამ ამ მძლავრი კრიტიკული იარაღით რომ ისარგებლო, საჭიროა სიფრთხილე.

გაზეთმა „ვეჩერნი ტბილისმა“, მაგალითად, გამოაქვეყნა ფოტობარალდება, რომელიც ეხებოდა ჩვენი ქარხნის სახალხო კონტროლის ჯგუფს. მაშინ, როცა ამავე ჯგუფის გამოცდილება დადებითად შეაფასა საქალაქო კომიტეტმა.

უკანასკნელ ხანში კარგ ტრადიციად დამკვიდრდა ერთობლივი ლონისძიებების ორგანიზაცია საწარმოს, რაიკომისა და გაზეთის რედაქციის მონაწილეობით. ამას წინათ ელექტროვაგონშემკეთებელთა კლუბში მოეწყო საწარმოს ცალკეული უბნების ხელმძღვანელთა შეკრება, რომელიც მიეძღვნა რეზერვების ძიებას. შეკრება მოაწყვეს პარტიის ლენინის რაიკომმა და გაზეთ „თბილისის“ რედაქციამ. მომავალში საწარმოო გაერთიანება „ელმავალშენებლის“ ადმინისტრაციას გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ რედაქციასთან ერთად დაგეგმილი აქვს მოაწყოს სოციალისტური შრომის გმირის ვასილ პაპინაშვილის სახელობის პრიზის მოსაპოვებლად. ასეთი ტრადიცია უნდა გავაგრძელოთ, შეძლებისდაგვარად განვავითაროთ და გავამრავალფეროვნოთ.

ამხანაგებო, ძალიან ბევრ საკითხზე შეიძლებოდა თქვენთან საუბარი, ასეთი შემოხვევა არც თუ ისე ხშირად გვაქვს ხოლმე, მაგრამ ამჯერად ამით დავამთავრებ: ჩვენ, წარმოების მუშაკები, დიდი პატივისცემით ვეპყრობით თქვენს შრომას, რადგან კარგად ვიცით, რომ თქვენი საქმიანობა ძნელი და პასუხსაგებია, მას დიდი სარგებლობის მოტანა შეუძლია და მოაქვს კიდეც, ამიტომ შემძლია დარწმუნებით ვთქვა: ის, ვინც სათანადოდ არ აფასებს პრესას, ძალიან ბევრ მნიშვნელოვანს კარგავს საკუთარ პრაქტიკულ საქმიანობაში.

როგორც ქარხნის პარტიული კომიტეტის წევრს, მე ხშირად მიხდება გამოსვლა სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე და ამ გამოსვლების მომზადების დროს დიდ დახმარებას მიწევს პრესა, თქვენი საქმიანი, საინტერესო, ცოცხალი სიტყვა. და ეს არც გასაკვირია, ჩვენ ხომ ერთ დიდ, საერთო საქმეს, ქვეყნის წინსვლის საქმეს ვემსახურებით — მუშათა კლასიც და თქვენც, იდეოლოგიური ფრონტის ჯარისკაცები.

„კომუნისტის“ ფოტოკონკურსზე

ა. საქაკოვი — მას ხოვალდები მოელიან.

(ფოთის ნავსადგურის დატვირთვა-გადმოტვირთვის მეორე უბნის ხელმძღვანელი, ინჟინერი კომუნისტი ჯუმბერ ბანტურია).

ციფრების ენით

□ **ამჟამად საქართველოში გამოდის 21 დასახელების რესპუბლიკური, 7 საოლქო, 11 საქალაქო, 65 რაიონული გაზეთი. რესპუბლიკური გაზეთების ერთჯერადი ტირაჟია 2.386.300 ცალი, საოლქოსი — 135.400, საქალაქოსი — 231.200, რაიონულისა— 424.700 ეგზემპლარი, სულ 3.177.600 ცალი.**

□ **ჩვენს რესპ

ფაქტები, პროგლემები
საქმელი და უცხოეთის პრესის. საკვანძო ადგილები
მსოფლიოს ამბები

უმეჯობეს მოლაპარაკება

დამთავრდა ევროპის გაერთიანებათა მინისტრთა საბჭოს სესია

ბრიუსელი. (საკვანძო). აქ დამთავრდა ევროპის გაერთიანებათა მინისტრების საბჭოს სესია, რომელიც საგარეო საქმეთა მინისტრებმა დონეზე მიმდინარეობდა. კომისიამ ვერ გამოიტანა გადაწყვეტილება დღის წესრიგის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხის — დაგეგმვების 200-მილიან საზღვაო ზონაში თევზჭერის რეჟიმის შესახებ. ინგლისმა, ირლანდიამ და დანიამ გაილაშქრეს გაერთიანების კომისიათა მიერ წამოყენებული კომპენსაციების წინააღმდეგ. ამ საკითხის გადაწყვეტა გადადო ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების სოფლის მეურნეობისა და მეთევზეობის მინისტრთა მომავალ შეხვედრამდე.

დაჯგუფების მონაწილეთა უთანხმოების გამო უშედეგოდ დამთავრდა ავრეთვე მეორე პრობლემის განხილვა — ესპანეთსა და „საერთო ბაზარს“ შორის ვაჭრობაში საბაჟო ტარიფების შეცვლა. მინისტრების საბჭომ ევროპის გაერთიანებათა კომისიებს დაავალა ხელახლა შეისწავლონ ეს საკითხი „მთელი მისი კომპლექსის მასშტაბით“.

„ცხრეულის“ მინისტრები პრინციპულად თანახმა არიან დაიწყოს მოლაპარაკება „საერთო ბაზარში“ პორტუგალიის შესვლის შესახებ. ლისაბონისაგან ჯერ არ მიუღიათ თხოვნა ევროპის ეკონომიკურ გაერთიანებაში შესვლის თაობაზე, მაგრამ, მოელან, რომ ამ საკითხს განიხილავენ ბრიუსელში პორტუგალიის პრემიერ-მინისტრის მ. სოარეშის მომავალი ვიზიტის დროს.

ჯ. კარტერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი. (საკვანძო). ჯ. კარტერმა, როგორც უკვე პრეზიდენტმა, პირველი პრეს-კონფერენცია გამართა. მას ბევრი შეკითხვა დაუსვეს ახლანდელი ენერგეტიკული კრიზისის გამო, რომლის შედეგადაც ქვეყანაში ათასობით მსხვილი თუ წვრილი საწარმო, სკოლა დაიხურა, მასობრივად ითხოვენ მუშებს.

ახლანდელი ენერგეტიკული და ეკონომიკური კრიზისის ერთ-ერთი მიზეზი, განაცხადა ჯ. კარტერმა, ის არის, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს არა აქვს ყოვლისმომცველი გრძელვადიანი ენერგეტიკული პოლიტიკა. მან თქვა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესს ასევე ენერგეტიკულ პროგრამას წარუდგენს 20 აპრილამდე, თან დასძინა, „ეს ამერიკელი ხალხისაგან გარკვეულ მსხვერპლს მოითხოვსო“.

პრეზიდენტმა ავრეთვე აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები სულ უფრო მეტად ხდება დამოკიდებული ენერგიის წყაროების იმპორტზე. მან ჟურნალისტებს აცნობა, რომ უკანასკნელი ორი თვის მანძილზე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა იმპორტით მიიღო მთელი მოხმარებული ნავთობის ნახევარზე მეტი. ჩვენ, თქვა მან, არ მოგვებოვება ნავთობის საკმარისი სარეზერვო მარაგი ჩვენი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად, თუ მომავალში რაიმე ახალი ემბარგო დაწესდა ან სხვა სერიოზული გარემოება დაგვაბრკოლებსო.

ამასთან დაკავშირებით კორესპონდენტებმა ჯ. კარტერს ჰკითხეს: ვის ხელშია ქვეყნის ენერგეტიკული რესურსები და რა აზრისა ბრძანდებითო ნავთობის მრეწველობის ნაციონალიზაციაზე; ჯ. კარტერმა თქვა, რომ იგი ნავთობის და გაზის მრეწველობის ნაციონალიზაციის წინააღმდეგია და იმის მომხრეა, რომ ეუცხლად დარჩეს კერძო მონოპოლიების მიერ ქვეყნის ბუნებრივი რესურსების ექსპლოატაციის ახლანდელი სტრუქტურა.

უარყოფენ ბრალდებას

კაირო. (საკვანძო). ეგვიპტეში ეროვნულ-პროგრესული პარტიის წინააღმდეგ გაჩაღებულ პროპაგანდისტულ კამპანიასთან დაკავშირებით ამ პარტიის გენერალურმა სამდივნომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ კამპანიის მიზანია დაამახინჯოს საზოგადოებრიობის თვალში მემარცხენე ძალების პოზიცია და მოსპონ მემარცხენე პარტია როგორც სამშობლოსა და მისი მოქალაქეების უზენაესი ინტერესების დამცველი პოლიტიკური ძალა.

ეროვნულ-პროგრესული პარტიის წევრებისათვის წაყენებული ბრალდება, თითქოს მას ხარალი მიეყენებინოს სახელმწიფო და კერძო ქონებისათვის ამასწინანდელი ამბების დროს, და ნათქვამია, რომ მემარცხენე ძალები არასოდეს არ თელიდნენ ძირგამომთხრელ მოქმედებას პოლიტიკური ბრძოლის საკადრის მეთოდად.

ეროვნულ-პროგრესულმა პარტიამ განაცხადა, რომ არ ეთანხმება კანონს, დასამტკიცებლად რომ წარადგინეს ხელისუფლებმა რეფერენდუმზე. პარტია უარყოფს მოქალაქეთა დემოკრატიული თავისუფლებების სერიოზულ შეზღუდვას, რაც ამ კანონით არის გათვალისწინებული.

დეკრეტი მიღებულია

მადრიდი. (საკვანძო). მინისტრთა საბჭოს აქ გამართულ სხდომაზე, რომელიც მთავრობის მეთაურის ადოლფო სუარესის თავმჯდომარეობით ჰამდინარეობდა, მიიღეს დეკრეტი, რომლის თანახმად ნაწილობრივ იცვლება გასული წლის ივნისის კანონი პოლიტიკური ასოციაციების შესახებ. ამ დეკრეტის შესაბამისად მარტივდება პოლიტიკური პარტიის ლეგალიზაციის პროცედურა და უქმდება დებულება, რომლის თანახმად მთელ მათ საქმიანობას მტკიცე კონტროლს უნდა უწევდეს შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ ახალი დეკრეტი ჯერჯერობით არ ვრცელდება კომუნისტურ პარტიაზე, რომლის ლეგალიზაციის აკრძალვა დროებით ძალაში რჩება. როგორც პოლიტიკური მიმომხილველები აღნიშნავენ, კომპარტიის ლეგალიზაციისათვის ჯერ კიდევ საჭიროა გაქმდეს სისხლის სამართლის კოდექსის დებულება, რომელიც ითვალისწინებს მთელი რიგი პოლიტიკური ორგანიზაციების საქმიანობის აკრძალვას.

უცხოეთის პრესიდან

და კვლავ ველინგტონი

მონტე-კარლოში გამართულ აუქციონზე სხვადასხვა ანტიკვარულ ნივთებთან ერთად იყიდებოდა ნაპოლეონის სერთუკი, რომელიც თითქოს მას ეცვა ვატერლოოსთან ბრძოლის დროს, სადაც იგი ჰერცოგ ველინგტონის ჯარებმა დამარცხეს. აუქციონზე, წერს შვედური გაზეთი „აფტონბლადეტი“, გამარჯვება ველინგტონს — სახელგანქმული მხედართმთავრის თამამთავარს ხვდა წილად. სწორედ მას ერგო სერთუკი 190 ათას ფრანგულ ფრანკად (100 ფრანკი 15 მანეთს უდრის).

„ავტომოყვარულის ლოცვანი“

შვეიცარიის ქალაქ ლინკოპინგის მოვდელმა ჰესლერმა, როგორც „ადგილობრივი პრესა“ იუწყება, ამას წინათ თავისი მრევლის მიმართ გულისამაჩუყებელი ზრუნვა გამოიჩინა. მან შეადგინა და გამოსცა „ავტომოყვარულის ლოცვანი“, რომელიც ღმერთისადმი 150 მიმართვას შეიცავს ქუჩაში მოძრაობის წესების თითქმის ყოველ პუნქტთან დაკავშირებით. სალოცავი წიგნი ჯიბის ფორმატისაა. თვითეული ლოცვა ლაკონიურია, ვინაიდან საქესთან ჯდომისას მიზანშეწონილი არ არის უზნეობასთან ერთად ახსნა-განმარტება. თუ რას წარმოადგენს ავტომოყვარულის მუდმივი თანამგზავრი, შეიძლება ვიმსჯელოთ ერთ-ერთი ლოცვით, რომელიც შეთხზულია „იმ შემთხვევისათვის, როცა გზა დასასვენებელი ადგილებისაკენ მიდის და საკალი ნაწილი ტრანსპორტით არის ჩახერგილი“. ამ დროს ავტომოყვარული წარმოთქვამს: „ღმერთო, დამიცავი გასწრების ცოფნებისაგან. ჩამინერგე მოთმინება. დამაღწევინე თავი ამ მდგომარეობიდან. ამინ!..“

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომანტიკული კინოლეგენდა

სიკო დოლიძე... საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, გამოჩენილი კინორეჟისორი, ხელოვანი, რომლის სახელთანაც ორმოცდაათი წელია დაკავშირებულია ქართული საბჭოთა კინემატოგრაფიის განვითარება, მისი ისტორია.

ხანგრძლივი, ნაყოფიერი შემოქმედებითი მუშაობის მანძილზე მას ბევრი ფილმი დაუდგამს. ისინი განსხვავდება ჟანრითა და ფორმით, შინაარსითა და სტილით, ბოლოს — მხატვრული ღირებულებითაც, მაგრამ ერთი მთავარი მაგისტრალური ხაზი აერთიანებს სიკო დოლიძის ფილმებს: ყველა ფამსჭვალულია მოქალაქეობრივი პათოსით, დღევანდელობის გრძნობით, შემოქმედის პასუხისმგებლობით.

სიკო დოლიძე ქართველ კინემატოგრაფისტთა იმ თაობას ეკუთვნის, რომელიც 20-იანი წლების მეორე ნახევარში მოვიდა საქართველოს „სახკინმრეწვაში“ და იმთავითვე გვიჩვენა თავისი დიდი შემოქმედებითი პოტენციალი. ეს ის თაობაა, რომელმაც ახალგაზრდულ გზნებასთან ერთად, თან მოიტანა სურვილი — კინოხელოვნება მასების იდეურ-დამრაზმველად ექცია, ეკრანზე აესახა ახალგაზრდა რესპუბლიკის მონაპოვარი, ეკრანის დახმარებით უკომპრომისო ბრძოლა გაეჩაღებინა ძველის, დრომოჭმულის წინააღმდეგ. ამ თაობამ ჩამოიცალა ქართულ კინემატოგრაფს ყალბი ეგზოტიკურობის რეციდივები, მიახლა მას სოციალური სინორმე და ეროვნულობა.

სიკო დოლიძის პირველი კინემატოგრაფიული გატაცება დოკუმენტალისტიკა იყო. იმ პერიოდში ახალგაზრდა ლიტერატორი „ფაქტის ლიტერატურას“ ანიჭებდა უპირატესობას. ამ გატაცებამ აქცია იგი „სახკინმრეწვის“ კინოქრონიკისა და დოკუმენტური ფილმის განყოფილების ერთ-ერთ დამაარსებლად და, წლების მანძილზე — მის ხელმძღვანელად. იგი იღებს დოკუმენტურ სურათებს. მისი შემოქმედებითი ბედი თითქოს უკვე სრულად განსაზღვრული იყო, მაგრამ, როგორც ჩანს, ახლის ძიების დაუცხრომელ სურვილს რეჟისორი მხატვრულ კინოფატოგრაფში მოჰყავს.

პირველმავე მხატვრულმა სურათმა „ზავთა სამეფომ“ ცხადყო, რომ სიკო დოლიძის სახით ქართულ კინოხელოვნებას სერიოზული, თვითმყოფი რეჟისორი შეემატა. „უკანასკნელი ჯვაროსნების“ შემდეგ ეს ახრი კიდევ უფრო განმტკიცდა.

„დარიკო“ — ეს ფილმი საბჭოთა კინოს ოქროს ფონდის საკუთრებაა. საკმარისია თვალი გადაავლო ფილმის თანადროულ პრესას, რომ მიხვდეთ როგორი რანგის მოვლენა იყო „დარიკო“ — არა მარტო ქართული, არამედ მრავალი პირველხარისხოვანი ფილმით განებივრებული საყაენორო ეკრანისათვისაც.

ხალხთა მეგობრობის თემას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სიკო დოლიძის შემოქმედებაში. ჯერ კიდევ 1941 წელს გადაიღო მან ფილმი „მეგობრობა“ ქართველ და უკრაინელ კოლმეურნეთა შესახებ, რომლის ერთგვარ გაგრძელებად გვევლინება „სემირამიდის ბაღები“ (1970 წ.). საბჭოთა ხალხების მეგობრობის იდეით არის გამსჭვალული პატრიოტული ფილმი „ჯურღოის ფარი“.

ჩვენი თაობისათვის „ჭრიჭინა“ ალბათ ბავშვობისა თუ ახალგაზრდობის ერთ-ერთი ყველაზე ნათელი მოგონებაა. „თბილისის“ (და არა მარტო თბილისის) კინოთეატრებში კვირების მანძილზე იდგა რიგი. ამ ფილმში გამოჩნდა ლეილა აბაშიძის ნიჭის სრული შესაძლებლობები.

„ჭრიჭინას“ მოჰყვა „ფატმა“ — საოცრად ძლიერი ვნებების ფილმი, კ. ხეთაგუროვის მაღალი პოეზიის ასევე მაღალი ეკრანული ეკვივალენტი, ოღონდ უფრო მეტად დატვირთული სოციალური აქცენტებით. სხვათა შორის „ფატმა“ ერთ-ერთი პირველი ცდა იყო ეკრანის საშუალებით ოსი ხალხის ცხოვრების გადმოცემისა. შემდეგ, „დღე პირველი, დღე უკანასკნელი“ — ცოტა არ იყოს მიამიტი, სქემატური სიუჟეტით, მაგრამ საყვარელი, მომხიბლავი გმირებთ, რომელთა შორის ერთ-ერთი მთავარი ადგილი ეკავა ჩვენს თბილისს, თავისი განუმეორებელი კოლორიტით.

ამის შემდეგ სიკო დოლიძე კვლავ უბრუნდება ნინოშვილის პროზას, ამჯერად ეკრანზე გადაჰქონს „პალიასტერის ტბა“.

„შეხვედრა წარსულთან“ — ეკრანზე კვლავ ცოცხლდება კოლექტივიზაციის კლასობრივი ბრძოლების წლები. რეჟისორმა რეალისტურად აღადგინა გარდასული დროის სურათები, მძაფრი ფსიქოლოგიზმითა და დამაჯერებლობით გადმოსცა მოქმედ გმირთა სულიერი სამყარო.

და აი, რეჟისორის ახალი ნაშუშევარი „გაქცევა გათენებისას“, რომელიც წარდგენილია შოთა რუსთაველის პრემიის მოსაპოვებლად.

რევაზ ებრალიძესთან ერთად ახალი ფილმისათვის შექმნილ სცენარს რეჟისორმა საფუძვლად დაუდო ჯერ კიდევ ბავშვობაში მოსმენილი ძველი ბოლშევიკების მოგონებები, რუსეთის პირველი რევოლუციის თანადროული პრესა, დოკუმენტები, რომელთა დიდი ნაწილი ცნობილი გახდა მხოლოდ უკანასკნელ წლებში. სცენარისტები შეეცადნენ, რაც შეიძლება ზუსტად აღედგინათ არა მარტო მოვლენები, არამედ იმ წლების ატმოსფეროც.

ერთი შეხედვით ფილმში საკმაოდ არის სათავგადასავლო ელემენტები, მაგრამ ეს უფრო ისტორიული მოვლენების „დამსახურებაა“, რადგან მოვლენები დრამატურგის ნებისმიერ გამონაგონზე უფრო მძაფრია. რეჟისორის დამსახურება კი სწორედ ის არის, რომ მძაფრი სიუჟეტი მან არა თუ არ შეანელა, პირიქით — რომანტიკული ზეაწეულობა მიანიჭა მას. და ამავე დროს, ყოფითი დამაჯერებლობა, ძველი ქუთაისის კოლორიტი შეუნარჩუნა.

ფილმში მძაფრად იგრძნობა ეპოქის სუნთქვა. მასში ნაჩვენებია ბოლშევიკების გადამწყვეტი ლობასთან ბრძოლისა და სოციალისტური რევოლუციის მზადების საქმეში. რევოლუციონერების პარალელურად რეჟისორი დამაჯერებლად გვიჩვენებს ერთი მხრივ იმ ადამიანებს, რომლებიც თანაუგრძნობდნენ სამართლიან ბრძოლას, მეორე მხრივ კი, რევოლუციის მტრებს, თვითმპყრობელობის „მართლმსაჯულებას“.

ფილმში მრავალი პერსონაჟია, მათი უმრავლესობა მსუყე ფერებით, ფსიქოლოგიური დამაჯერებლობით გამორჩევა. განსაკუთრებით კი — ფილმის მთავარი გმირები: ნატო (მეგი წულეკიძე) და გიორგი ქორიძე (ტრისტან ყველაიძე). ნატო და გიორგი მაყურებელს ამახსოვრდება არა მარტო როგორც საპყრობილიდან პოლიტპატიმრების გაქცევის ორგანიზატორები, არამედ როგორც მორალურად წმინდა, უკეთესი მომავლისათვის თავგანწირული ადამიანები, რომელთაც დიდ ინტელექტთან ერთად საცარი პიროვნული მომხიბვლელობა და, თუ გნებავთ, სილამაზეც ახლავთ. სწორედ ყოველივე ამის გამო გვჯერა, რომ მათ შეძლეს ესოდენ დიდი და პასუხსაგები ამოცანის შესრულება. სწორედ ასეთ ხალხს შეეძლო მასების დარაზმვა და უკეთესი მერმისისათვის საბრძოლველად წაყვანა.

ფილმის ფინალი: გათენებისას ნატოც ტოვებს ქალაქს. ეტლში შებმული თეთრი ცხენები მას ამომავალი მზისაკენ მიაჭენებენ. აქ უნებურად გახსენდება რეჟისორის სიტყვები: ჩვენი ფილმი რომანტიკული ლეგენდაა ისტორიულ სინამდვილეზეო.

სიკო დოლიძემ თავისი ახალი ნაწარმოები 1905-1907 წლების რევოლუციის გმირებს მიუძღვნა. საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ფილმი თბილისის ეკრანებზე საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის დღეებში გამოვიდა და ერთბაშად მიიქცია ჩვენი მაყურებლის ყურადღება.

გიორგი ჩიკვაიძე.

* * *

სურათებზე: საქართველოს სსრ სახალხო არტისტი მ. წულუკიძე ნატოს როლში; ფილმის „გაქცევა გათენებისას“ ერთი კადრი.

წარდგენილია ზოთა რუსთაველის სახელობის პრემიის მოსაპოვებლად

სიცრუისა და ცილისწამების „ჭარტია“

ჩეხოსლოვაკიელი ხალხი გმობს ნაძირალებსა და ცილისმწამებლებს

„დსინდენტმმა“ ჩეხოსლოვაკიაში, ბოლოსდაბოლოს, დაამთავრეს „ბრალის ამოკითხვა“ — სულ 241 კაცი დამიჩნდა. დაახლოებით ამდენი ადამიანსაც პრაღის ნებისმიერი ახალი რაიონის ერთ კოშკურა-სახლში. მათ შორის ასე თუ ისე მებრძოლი ორი-სამი ათეული, „განსაკუთრებით სხვაგვარად მოაზროვნე“ კი — სამი: გაველი, პატოჩკა და გაკი. ალბა ამ ორი ასეული ადამიანის სახელი კარგად არის ცნობილი ჩეხოსლოვაკიელი ხალხისათვის 1968-1969 წლებში მათი კონტრრევოლუციური საქმიანობით. ასლა, ცხრა წლის შემდეგ, ეს ორი „სტოვკა“ — ეს უწოდებენ მათ თანამემამულენი „სტოვკა“ სასაუბრო ენაში „ასონს“ ნიშნავს), რითაც მათს გამდელელურ ბუნებაზე მიანიშნებენ,— ალბა შეეცადა საზოგადოებრიობის ბრალდების საკუთარი პერსონისადმი მიქცევას. მათ შეთხზეს ეგრეთ წოდებული „ჭარტა-77“ — ანტიკომუნისტური, ანტისოციალური პასკილი.

დასავლეთის ბურჟუაზიულმა პროპაგანდამ თავის მკითხველებს, „ბენელებსა და მაყურებელს სამურეალი ოპერატიულობით აუწყა, რომ ჩეხოსლოვაკიაში არ არის არანაირი თავისუფლება და ამიტომ, ეთქოს „თავისუფალი საზოგადოება“ ვალდებულია დაეხმაროს ჩეხოსლოვაკიის ინტელიგენციის დიდ ნაწილს სოციალიზმის მიერ ხელყოფილი ადამიანის უფლებების მოთხოვნებში.

ნიშანდობლივია, რომ „ჭარტიის“ ოცეული ავტორთაგანი თავის დროზე ალიარებულ ყარა ხალსმა და ამით ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა დაამტკიცა, თუ როგორ ასრულებს იგი საქმით თავისი კონსტიტუციის ერთ-ერთ მცნებას — არ გაასამართლონ რწმენისა. ყველა ეს ადამიანი განაძრობდა ბუშაობას.

უმეტესი იქნებოდა დასავლეთის ბურჟუაზიული პროპაგანდის ორგანოებმა მოქნილობა — როგორც ბოლო მიზნით რომ გამოიყენებინათ. ადამიანად, როგორი ცნობილია, „ბარანდოვის“ და „ლიუბერნის“ დაწესებულების მფლობელი იყო. „ჭარტა-77“-ის ხელმომწერთა შორის არიან ტროცკისტები შილმანი, ბოლსონი, ბაბატა, ვოდსონი, სიონისტი კრიგელი, საერთაშორისო ავანტიურისტი, რომელსაც ამერიკის არმიის მაიორის წოდება აქვს, იუსტიციის ყოფილი მინისტრი დრტინა, რომელიც 1948 წელს იმ რეაქციონერ მინისტრთა შორის იყო, რომლებიც ჩეხოსლოვაკიაში სასალხო-დემოკრატიული წყობილების დამხობას შეეცადნენ, 1968 წელს მომქმედი ადამიანის უფლებათა დაცვის საზოგადოების წევრები მახოვეცი, გეიდა, ეფილი. და აი ამ ადამიანებს, რომლებიც თავისსავე ქვეყანაში დამარცხდნენ, სურთ დაარწმუნონ საზოგადოებრიობა, თითქოს ჩეხოსლოვაკიაში არ იყოს შრომის, განათლების, შემოქმედების, დასვენების, ქვეყნის შიგნით თავისუფალი მიმოსვლის, საზღვარგარეთ თავისუფლად მგზავრობის და სხვა უფლებები. ეს ადამიანები ტყუიან!

ი. უგლარიკი, „ჩეხოსლოვაკიის ავიახაზების“ პილოტი:

— ჩემი აზრით, „ჭარტა-77“-ს პირდაპირი კავშირი აქვს სხვა ანტიკომუნისტურ აქციებთან, სოციალისტური ქვეყნების წინააღმდეგ რომ არის მიმართული. მე მინდა გავაცნობო ამონაწერები ორი იტალიური გაზეთიდან. ერთში ჩეხოსლოვაკიელი ემიგრანტი ბელიკანი წერს, რომ „ჭარტა-77“-ში ერთ აქციად უნდა გააერთიანოს ემიგრანტული და ანტისოციალისტური ცენტრების ყველა გამოსვლა. მეორეში ნათქვამია, რომ „ჭარტის“ პროგრამა 1968 წლის პროგრამის ტოლფასოვანია.

დასავლელი ჟურნალისტების მიერ დასმულ კითხვებზე უპასუხებდნენ ქარხნების, უმაღლესი სასწავლებლების, კულტურული და სამეცნიერო დაწესებულებების წარმომადგენლები, რომლებმაც პრეს-კონფერენციაზე თან მოიტანეს ერთი მუჭა ნაძირალების მონაბერის წინააღმდეგ გამოთქმული პროტესტზე შეიდი ათასი ხელმოწერა. მთელს ქვეყანაში გაიმართა საპროტესტო კამპანიები. მილიონობით ადამიანი საჯაროდ გამოთქვამდა თავის აზრს, თავის უანგარო სიყვარულს სამშობლოსადმი, მხარდაჭერას სამართლიანობისადმი, რითაც საკადრის პასუხს სცემდნენ პასკვილის ავტორებს.

ვ. რზოუნეკი, კარლოვის უნივერსიტეტის პროორექტორი:

— ჩვენს ინსტიტუტებში სწავლობენ სმრკოვსკის და დუბჩეკის შვილები, ამას წინათ სტუდენტი გახდა ირეი განზელკას ვაჟიშვილი. მათს შვილებს ჩვენ არავითარ დაბრკოლებას არ ვუქმნით. ჩვენ უწინარეს ყოვლისა პატივს ვცემთ ტალანტს და ვცდილობთ, რომ ახალგაზრდები ჩვენი საზოგადოების აქტიური მშენებლები გახდნენ. ცხადია, ჩვენ ვზრდით საკუთარ ინტელიგენციას და ჩეხოსლოვაკიაში სტუდენტთა ნახევარზე მეტი მუშათა და გლეხთა შვილებია.

ი. ვალა, მსახიობი:

— ჩვენს სცენებზე არასოდეს არ ექნება ადგილი ძალადობას, სადიზმს, პორნოგრაფიას — ყველაფერ იმას, რაც სოციალისტური საზოგადოების ადამიანის ეთიკას ეწინააღმდეგება. ჩვენ გვსურს, რომ ხალხთან მოვექონდეს სინათლე, სიხარული, სილამაზე, და რა თქმა უნდა, იმათ დაუხმარებლად, ვინც ხელი მოაწერა „ჭარტიას“, ჩეხოსლოვაკიური ხელოვნების მიმართ უხამს ცილისწამებას რომ შეიცავს.

ბ. ეფენა ტაბორეკიკოვა, მუშა ქალი:

— ჩვენ, მუშებს, ვერ გაგვიგია, თუ ვინ მისცა ამ მოღალატეებს მუშათა სახელით, ხალხის სახელით გამოსვლის უფლება.

ვ. ბინეკი, პრაღის პროფკავშირების საქალაქო კომიტეტის თავმჯდომარე:

— „ჭარტიის“ ავტორთა მონაჭორი იმდენად უსუფთაო, რომ უბრალო არგუმენტებითაც კი საპნის ბუშტივით სკდება. თუნდაც იმის მტკიცება, რომ „ჩეხოსლოვაკიელ მუშებს არა აქვთ პროფკავშირული ორგანიზაციების შექმნის უფლება“. როგორ მიუწვევთ მარჯვენა ხელი ამ სტრიქონების დასაწერად, როცა „ჭარტიის“ ხელმომწერთა 96 პროცენტს მარცხენა ხელი ჩეხოსლოვაკიური ბილეთი უჭირავს! ჩეხოსლოვაკიის პროფკავშირები — ეს არის შრომის საუცხოო პირობები, დასვენების დიდებული პირობები, სიბერის უზრუნველყოფა, ოჯახის — დედისა და ბავშვის უზრუნველყოფა, და ბოლოს, ეს არის გრანდიოზული სოციალური პროგრამა.

მ. კაჯნარი, ჩეხოსლოვაკიის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგე:

— ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკა კეთილსინდისიერად ასრულებს ჰელსინკის დასკვნითი აქტის, მათ შორის მისი „მესამე კალათის“ ყველა პუნქტს, ადამიანის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პაქტების ყველა პუნქტს. თავად განსაჯეთ, ყოველწლიურად ჩეხოსლოვაკიიდან საზღვარგარეთ მოგზაურობს 60 ათასი შემოქმედებითი მუშაკი. მათს 30 ათას კოლეგას ჩეხოსლოვაკია მასპინძლობს.

1976 წელს საზღვარგარეთ იმოგზაურა 7 მილიონმა ჩეხოსლოვაკიელმა ტურისტმა ე. ი. ყოველმა მეორემ. ჩვენ გვყვია 14 მილიონი.

საყოველთაოდ ცნობილია ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის მიღწევები, რესპუბლიკის მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებაში მოპოვებული წარმატებები. ჩეხოსლოვაკიას მსოფლიოში პირველი ადგილი უჭირავს დედათა სოციალისტური უზრუნველყოფის მხრივ. რესპუბლიკის მთავრობა თავისი მოქალაქეების უფლებების დეკლარირებას კი არ ეწევა, არამედ პრაქტიკულად უზრუნველყოფს. ჩეხოსლოვაკიელი ადამიანები ყოველდღიურად გამოთქვამენ თავიანთ აზრს პროფკავშირულ თუ პარტიულ კრებებზე, პრესაში, რადიოთი, ტელევიზიით. 200 ათასი სასალხო დეპუტატი წარმოთქვამს სიტყვას პარლამენტში და აღმასრულებელი კომიტეტების სხდომებზე. განა ეს ჭეშმარიტი თავისუფლებები არ არის? ჩეხოსლოვაკიელმა ხალხმა ეს უფლებები მოიპოვა და არავის მისცემს მათი ხელყოფის ნებას.

ასე უპასუხებენ ჩეხოსლოვაკიის მშრომელი, მასები ცილისმწამებლებს, და შათთან ერთად დასავლეთის იმ ძალებს, რომლებიც ცდილობენ თავიანთი ანტისოციალისტური პროპაგანდის მიზნით კვლავ შეითითხნონ „ჩეხოსლოვაკიის საკითხი“.

ვ. ივანოვი,
ახალი ამბების საააგენტოს საკ. კორ.
პრაღა.

წარდგენილია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად

ახალი სიტყვა

გამოკვლევათა ციკლი პლასტიკურ მორფოლოგიასა და პერიფერიული ნერვული სისტემის მორფოლოგიაში

სახვითი ხელოვნება დიდი ხანია პლასტიკური ანატომიისა და ექსპერესიონოლოგიის ისეთი სახელმძღვანელოების მწვავე ნაკლებობას განიცდის, რომლებიც ანატომიის, ფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის განვითარების თანამედროვე დონეს შეესაბამება. მით უფრო მისასალმებელია ამ პრობლემისადმი მიძღვნილი რამდენიმე ფუნდამენტური შრომის, კერძოდ, პროფესორების საულ და ზაალ კახიანებისა და ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის დავით ასათიანის სახელმძღვანელოს „პლასტიკური ანატომიის“ და დამხმარე სახელმძღვანელოების — „მიმიკისა“ და „ბავშვის მიმიკის“ გამოქვეყნა.

„პლასტიკური ანატომიის“ სახელმძღვანელოს ერთ-ერთი მთავარი ღირსება ის არის, რომ მასში ადამიანის სხეულის რელიეფური ფოტოსებურებების აღწერას საფუძვლად უდევს პლასტიკური ფორმების განმსაზღვრელი ანატომიური ელემენტების არა სისტემური, არამედ კომპლექსური არეობრივი ანალიზის პრინციპი.

წიგნის მეორე, არანაკლებ საყურადღებო ღირსებაა ისიც, რომ ავტორებმა პლასტიკური ანატომიის სახელმძღვანელოებში ტრადიციულად მოტანილი არასაგულისმო ზოგადანატომიური ცნობების რაციონალური შემცირების ხარჯზე, პირველად დაუთმეს სახელმძღვანელოში საკმარისი ადგილი მოძრაობათა ბიომექანიზმის საფუძვლებს, რაც ნათელ წარმოდგენას იძლევა ადამიანეს სხეულის პლასტიკურ თავისებურებებზე არა მარტო უძრავ მდგომარეობაში, სტატისტიკაში, არამედ მოძრაობაშიც, დინამიკაში.

ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ადამიანის სხეულის ფორმები განხილულია ინდივიდუალური, ასაკობრივი და სქესობრივი თავისებურებების გათვალისწინებით.

წიგნის დიდაქტიკურ ღირებულებას ზრდის სასწავლო მასალის ლაკონიური და მკაფიო გადმოცემა, სალუსტრაციო მასალის მოხდენილი შერჩევა.

ამრიგად, წარმოდგენილი სახელმძღვანელო „პლასტიკური ანატომია“ კომპოზიციურად ორიგინალურია, მეთოდურად სრულყოფილია.

მეტად საყურადღებოა დამზმარე სახელმძღვანელო „მიმიკა“, რომელშიც გაშუქებულია ადამიანის სახის გამომხატველ მოძრაობათა ფსიქო-ფიზიოლოგიური და ანატომიური საფუძვლები.

უნიკალური წიგნია „ბავშვის მიმიკა“, რომელშიც განხილულია სკოლამდელი ასაკის ბავშვთა გამომხატველი მოძრაობების თავისებურებანი.

უნდა აღინიშნოს, რომ წარმოდგენილ შრომებს, რომლებიც მათი ავტორების ღრმა ზოგად და სპეციალურ ერუდიციაზე მეტყველებს, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს არა მარტო სახვითი ხელოვნების მოღვაწეთათვის, არამედ ექიმების, პედაგოგების და ფსიქოლოგებისთვისაც, ვინაიდან ეს შრომები საშუალებას იძლევა ადამიანის გამომხატველ მოძრაობები ობიექტურად განვასხვაოთ მოჩვენებითი ჭეშმარიტებისაგან, შემთხვევითი ტიპობრივისაგან და ნორმალური პათოლოგიურისაგან.

წარმოდგენილი შრომების ავტორებმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს სახვითი ხელოვნების ერთ-ერთი ძირითადი მეცნიერული საფუძვლის — პლასტიკური ანატომიისა და ექსპერესიოლოგიის განვითარებაში და არსებითად ამ დისციპლინის ერთ-ერთი ფუძემდებლები არიან ჩვენს რესპუბლიკაში.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია აგრეთვე ავტორთა გამოკვლევები პერიფერიული ნერვების, კერძოდ, კი ზედა კიდურის ნერვების გარეგანი და ღერსშიდა აგებულების შესახებ, რომლებიც განზოგადებულია მონოგრაფიებში: „მხრის წნული და მისი გრძელი ტოტები“, „მხრის წნულის შედარებითი ანატომია“ და „ზედა კიდურის ნერვების კლინიკური ანატომია“.

ავტორთა მიერ გამოკვლეულია და მეცნიერულად არის დასაბუთებული მხრის წნულისა და მისი ტოტების ცვალებადობის დიაპაზონი. ნერვული ღერძების აგებულების ცვალებადობის გათვალისწინებით მათ პირველად აღწერეს ზედა კიდურის მოტორული მოშლილობათა ნაირსახეობანი ნერვების ერთგვაროვანი დაზიანების დროს, რასაც უაღრესად დიდი ნიშვნელობა აქვს კლინიკასა ნეიროლოგიებისათვის.

მეტად მნიშვნელოვანია პრაქტიკისათვის ავტორთა მონაცემები ზედა კიდურის ნერვებისა და სისხლძარღვების ტოპოგრაფიულ-ანატომიური ურთიერთობის ცვალებადობის შესახებ. ეს მონაცემები არკვევს კლინიკასტს დიაგნოზის დასუსტებასა და კლინიკური მსელელობის პროგნოზირებაში ავადმყოფის ზედა კიდურის ნერვებისა და სისხლძარღვების შერწყმული, მძიმე დაზიანების დროს. მათ დიდი მნიშვნელობა აქვთ აგრეთვე დაზიანებული ნერვების ცოტულატორული მოშლილობის ლინიკისა და რეგენერაციული შესაძლებლობების გაგებისათვის.

პერიფერიული ნერვული სისტემის შესწავლის დარგში წარმოდგენილი შრომების გამოყენებითს მნიშვნელობას ზრდის ისიც, რომ ისინი სახავენ ფართო პერსპექტივებს ზევრი კლინიკური ასპექტის გადაწყვეტაში, რომლებიც დაკავშირებულია დაზიანებული ნერვების რეგენერაციასთან.

ყოველივე ამის გამო სავსებით მართებულად მიგვაჩნია ამ შრომების წარდგენა საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის მოსაპოვებლად.

თამარ ღლონტი,

მკითხველის კალმით

□ **ზუგდიდი.** რაისაბჭოს აღმასკომის საწარმოო სოგზაო უბანმა უკვე დაამთავრა ზუგდიდიშის დამაკავშირებელი გზის მოასფალტება.

გ. ალუბაია.

□ **ტყიბული.** მეექვსე სიშუალო სკოლის საკქტო დარბაზში მოეწყო მეგობრობის საღამო თემაზე — „ჩვენ ინტერნაციონალისტები“ ვართ.

მოსწავლეთა ძალებით გაიმართა კონცერტი. შესრულდა ქართული, რუსული, უკრაინული, ბელორუსული, ბერძნული სიმღერები და ცეკვები.

ი. შარაბიძე.

□ **ქობულეთი.** ერევნის ქუჩაზე ახლახან 70-ბინიანი საცხოვრებელი სახლი წამომართა. ახალმოსახლეობა იზეიმეს სამამულო ომის ვეტერანმა მარია გულინამ, პანსიონატ „ქარიშხალას“ მუშაკებმა: ბ. პატარაიამ, ეკ. რომანოვსკაიამ, ჯ. შერაბიშვილმა და სხვებმა.

მ. ჯიბლაძე.

პენსიები, დახმარება

ქაზბეგი. (საკ. კორ.). რაიონის სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებამ შარშან შრომისა და პერსონალური პენსიების სახით 240.500 მანეთი გასცა. კოლმეურნეებმა მიიღეს პენსიები, რომელთა საერთო თანხაა 264.700 მანეთი. დახმარება მიეცათ დიდი სამამულო ომის ინვალიდებსა და ომში დაღუპულთა ოჯახებს, მრავალშვილიან დედებს, აგრეთვე ნაკლებად უზრუნველყოფილი ოჯახების ბავშვებს. სულ 1976 წელს რაიონის მშრომელებმა სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებისაგან 544 ათას მანეთზე მეტი მიიღეს.

ბედნიერი ბილეთი

დუშეთი. (საკ. კორ.). სოფელ აბანოსხევში მცხოვრებმა პენსიონერმა გიორგი ალექსის-ძე ოქროპირიძემ ამას წინათ რაიონის შემნახველ სალაროში წარადგინა საახალწლო სადღესასწაულო ლატარიის ბილეთი (სერია 40753, № 346), რომელსაც მოგებად ხვდა ავტომანქანა „ჟიგული“-2101“.



ჩვენი ქვეყნის ქალაქებს დაამშვენებს

ნაყოფიერად შრომობს საცხოვრებელი და საზოგადოებრივი ნაგებობების ტიპობრივი და ექსპერიმენტული დაპროექტების თბილისის ზონალური სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოლექტივი. აქ შეიქმნა ახალი სერიის უნიფიცირებული ასაწყობი ნაკეთობანი, რომლებიც ჩვენი ქვეყნის რაიონებში 16-მდე სართული სიმაღლის სამოქალაქო ნაგებობათა მშენებლობისათვის არის გათვალისწინებული.

სურათებზე: მარცხნივ — პროექტის ავტორის ვ. კვიმსაძის ჩანაფიქრით ასე გამოიყურება ახალი სერიის კარკასით აგებული 16-სართულიანი 75-ბინიანი საცხოვრებელი სახლი. ამ პროექტმა მიიღო პირველი და მეორე პრემია კონკურსზე, რომელიც მოაწყვეს რესპუბლიკის სახმშენმა, საქართველოს არქიტექტორთა კავშირმა და თბილისის საქალაქო სახმკომ აღმასკომმა. სერ კავშირის სახმშენმა ამ პროექტს რეკომენდაცია მისცა შავი ზღვის სანაპიროზე მშენებლობისათვის; მარჯვნივ — პროექტის მთავარი კონსტრუქტორები ნათელა კაპანაძე და იური ანდრეევი მუშაობენ უნიფიცირებული კარკასის მაკეტზე.

ფ. პრიმსკის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

ამინდი

ზამთარი ჭირვეულობს

ამ დღეებში ქ. თბილისში, აღმოსავლეთ საქართველოს ყველა რაიონსა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში ხანმოკლე შედარებით თბილი ამინდის შემდეგ, კვლავ მოთოვა. დამით ამ რაიონებში ჰაერის ტემპერატურა რამდენადმე შემცირდა. ოფსპუბლიკის დედაქალაქში 9 თებერვალს დღის 12 საათზე მზოლოდ პლუს 2 გრადუსი სითბო იყო. სამეგიეოდ საქართველოს შავი ზღვის სახაპიროზე ამ დღეს სითბო დაახლოებით 10-12 გრადუსს შეადგენდა.

— ჰაერის ტემპერატურის ასეთი სხვაობა, თოვა დასავლეთ საქართველოს მთებსა და აღმოსავლეთ საქართველოს დაბლობ რაიონებში სავსებით ჩვეულებრივი მოვლენაა, — თქვა საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს თბილისის ამინდის ბიუროს უფროსმა ვ. კოპლატაძემ. — ამ დღეებში მკვეთრად აცივდა ჩრდილოეთ ყაზახეთში, ურალში, სსრ კავშირის ევროპული საწილის ცენტრალურ რაიონებში. ყინვები მთელ რიგ რაიონებში 25 35 გრადუსს აღწევდა.

ამ მოვლენებთან ერთად სამხრეთში, ხმელთაშუა ზღვის აუზში, შეამჩნეოდა ციკლონის მოქმედება, რომელმაც გამოიწვია ჰაერის შედარებით თბილი მასების გავრცელება ამიერკავკასიის სამხრეთ რაიონებში. ჰაერის თბილი და ცივი მასების ურთიერთმოქმედების შედეგია თოვა, ერთგვარი აცივება აღმოსავლეთ საქართველოს რაიონებში.

თბილისში, რესპუბლიკის ბევრ რაიონში ახლანდელი თოვა არაჩვეულებრივად არ უნდა მივიჩნიოთ. ერთიორი დღის შემდეგ თოვილი დადნება. ხოლო დასავლეთ, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს მთიან რაიონებში, რომლებიც წყლით კვებავენ რესპუბლიკის მდინარეებს, წელს თოვილი ძალიან ცოტა მოვიდა. მაგალითად, მთავარი კავკასიონის ქედის სამხრეთ ფერდობებზე, მდინარეების ენგურის, ცხენისწყლის, რიონის, ლიახვის, არაგვის, ივრის აუზებში, სადაც შარშან თოვლის საფარის სიღრმე 4-4,5 მეტრს აღწევდა, წელს ძლივსღა 40-60 სანტიმეტრი, რაც ამ დროისათვის მის ჩვეულებრივ ნორმაზე ორჯერ ნაკლებია. (საქინფორმი).

ჭიდაობა

პირველი ჩემპიონები

თბილისის VIII საერთაშორისო ტურნირი ძიუ-დოში

გუშინ სპორტის სასახლეში სტარტი აიღო თბილისის საერთაშორისო ტურნირმა ჭიდაობა ძიუდოში. მეჯიბრეები პირველ დღეს ასპარეზობდნენ ქვეძმძე (95 კგ) და მძიმე (95 კგ-ზე მეტი) წონით კატეგორიის ფალავნები.

მძიმე წონაში გამოდიოდა ორი თბილისელი ფალავანი, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატები ჯიბილო ნიკარაძე და აბორან მუზაევი. სპეციალისტთა აზრით ჩემპიონის ოქროს მედალი სწორედ მათ შორის უნდა გათამაშებულიყო, მაგრამ... მუზაევმა პირველივე ორთაბრძოლა დათშო უნგრეთის ორგზის ჩემპიონთან ვიქტორ პეტროვსკისთან. ჯიბილო ნიკარაძემ შეჯიბრება კარგად დაიწყო. 1 წუთსა და 39 წამში ხალიჩას გაკარი ამრე ვარგა (უნგრეთი), შემდეგ — ფინელი სეპო რეიუა (1 წუთსა და 45 წამში). ფინალში გასვლისათვის საკმარო იყო კიდევ ერთი გამარჯვება — თავის ძველ მეტოქესთან — ვოლგოგრადელ ვლადიმერ კლეკოდენკოსთან. ამ დაძაბული შეხვედრის დრო ისე ამოიწურა, რომ ანგარიში საყაიმო იყო. ორთაბრძოლის ბოლოს... მსაჯებმა გადაწყვეტეს — გამარჯვება კლეკოდენკოს მიეკუთვნა.

საინტერესოდ წარიმართა შეჯიბრება ქვეძმძე წონით კატეგორიაშიც. საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატმა გორელმა თამერ ხუციულრმა დიდი უპირატესობით მოუგო კუბელ რობერტო ბატისტას, შემდეგ ხალიჩას გაიარა ბულგარელი სოხია ათანასოვი, ნახევარფინალში კი სძლია ჩეხოსლოვაკელ კარლ ლაციხას და ფინალში გავიდა.

საღამოს გაიმართა გადამწყვეტი შეხვედრები.

თეიმურაზ ხუციულრმა ძაძაბულ ორთაბრძოლაში მოუგო ევროპის სამგზის ჩემპიონს, მიუხწენის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორს, ფრანგ ანეელა პარიზს და თბილისის მე-8 საერთაშორისო ტურნირის პირველი ჩემპიონი გახდა.

ამ დღეს გამოვლინდა გაკვალვებული ძმძე წონაშიც. პირველი ადგილი მოიპოვა მოსკოველმა არმენელმა, სპორტის ოსტატმა ალექსი ტიურნინმა, რომელმაც ფინალში ჭელებით სძლია სსრ კავშირის ჩემპიონატის მეორე პრიზიორს ვლადიმერ კლეკოდენკოს.

ფეხბურთის ამბები

ლონდონი. ინგლისის ნაკრებმა „უემბლის“ სტადიონზე ამხანაგურ მატჩში უმასპინძლა მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონს ჰოლანდიის გუნდს და დამარცხდა 0:2. ბურთები გაიტანა 22 წლის ნახევარმცველმა პეტერსმა. ეს ჰოლანდიელ ფეხბურთელთა პირველი გამარჯვება ინგლისელებთან. სტუმართა გუნდში გამოდიოდნენ კრუიფი, ნეესენსი, რენსენბრინკი.

დუბლინი. ირლანდიის ნაკრებმა ამხანაგური მატჩი წაგო ეგვპანეთის გუნდთან — 0:1. ეს ირლანდიელთა პირველი დამარცხებაა საკუთარ მოედანზე უკანასკნელი ექვსი წლის მანძილზე.

ლიმა. პეროს ნაკრებმა ანგარიშით 3:2 მოუგო ამხანაგური მატჩი უნგრეთის გუნდს.

კარაკასი. მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩში ვენესუელა და ურუგვაის ნაკრებმა გუნდებმა ითამაშეს ფრედ — 1:1.

კიევში „დინამოს“ გუნდმა, რომელიც ემზადება ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეოთხედფინალური შეხვედრებისათვის მიუხწენის „ბავარიასთან“, ამხანაგური მატჩი გამართა სოჭში ერეკვნის „არარატთან“. ანგარიშით 5:0 გაიმარჯვეს კიეველებმა. ბურთები გაიტანეს მუტალიმ, ხაჩალიმა (ორ-ორი) და ბურიაკმა (11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმით).

ძაძრაკი

„დინამოს“ პირველობაზე

უკანასკნელი ინფორმაცია, მეშვიდე ტურის შედეგად ერთ-ერთი ლიდერი ოსტატი უძღვება შავეკანიანებს. ... ადგილზე ... ბრძოლა. ... ძაფრი ბრძოლა გაიმართა ოსტატების ბუსლაევისა და ბელინკოვის (მოსკოვი) პარტიაში. თბილელმა თანდათანობით აჯობა მეტოქეს და დიდი უპირატესობა მიიღო. მაშინ ბელინკოვმა ყაიმი შესთავაზა, რასაც თეორები არ დათანხმდნენ, მაგრამ შემდეგ შეცდომა მოუვიდათ. ბელინკოვმა არა მარტო გამოასწორა მდგომარეობა, არამედ მოიგო კიდეც. ოსტატმა მურატოვმა (მოსკოვი) წაიგო თავის თანაქალაქელ ოსტატ კოროლიოვთან. საერთაშორისო ოსტატმა ჩიბუტიდანიძემ შავებით გაათანაბრა პოზიცია და ყაიმზე შეუთანხმდა ოსტატ არნაჯკინს (ლენინგრადი).

ამრიგად, მეშვიდე ტურის შემდეგ 5,5 ქულა სამმა მონაწილემ მოაგროვა — ოსტატებმა უბელაევამ, ბელინკოვმა და ოსტატობის კანდიდატმა რუდენკომ (კიევი). 5 ქულა აქვთ ოსტატებს ბუსლაევს, კოროლიოვს და ნევიდნიჩის, 4,5 ქულა მოაგროვა მონაწილეთა დიდმა ჯგუფმა, მათ შორის ოსტატობის კანდიდატებმა აზმაიფარაშვილმა, ვედეენიშვილმა და ბიბილაშვილმა.

კვლავ გ. კულაკოვა

ბაკურიანი. 10 თებერვალი. (საქინფორმის სპეც. კორ.). ოლიმპიურმა ჩემპიონმა იეევგენი კულაკოვამ დღეს აქ მოიგო სსრ კავშირის თასი 10 კილომეტრიან დისტანციაზე სათნო ლამურო რიგით. ... ოლიმპიური ამინდის პირობებში მან აჩვენა დრო 31 წუთი და 21 წამი. ასეთი ფინიში ჯერ კიდევ ათი წლის წინათ წარმატებად ითვლებოდა მამაკაცებისათვის. მოგვიანებთ, რომ გ. კულაკოვა ბაკურიანში პირველ ადგილზე გამოვიდა აგრეთვე 5 კილომეტრიან დისტანციაზე.

წლევანდელ სეზონში იგი უაღრესად სტაბილურად გამოდის, ცხრა სტარტიდან რვა მოიგო. წარსულ ოლიმპიურ წელს გ. კულაკოვა ავადმყოფობამ დასჯობინა, ალ, როგორც სახელგანთქმული მოთხილამურე ამბობს, იგი სავსებით კარგად გრძნობს თავს და მზად არის განაგრძოს გამარჯვებათა სერია.

დღევანდელი შეჯიბრების სასაამოვნო მოულოდნელობა იყო 20 წლის ლენინგრადელი რაისა ხეროვოს მეორე ადგილი. ევროპის ჩემპიონმა იუნიორთა შორის 20 წამზე ოდნავ მეტი დაუთმო გამარჯვებულს — 31.41,6. სამგზავრიდან გაუსწორო მეორე ოლიმპიურ ჩემპიონს სიტეტკაროელ რაისა სმეტანინას. ამ უკანასკნელს მესამე შედეგი აქვს — 31.55,4.

თბილისელმა მოთხილამურემ ნანა ბალაშვილმა 35 მონაწილეს შორის დაიკავა 23-ე ადგილი. — 34,36 და კვლავ დაადასტურა თავისი ოსტატის ნორმა.

12 თებერვალს სსრ კავშირის თასისათვის ბრძოლას შეუდგებიან ორეულიდელები.

მოკლედ

კალათბურთი. უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატზე ტალინში ადგილობრივმა „კალევამ“ წაგო კიევის „სტროიტელთან“ — 91:94.

ბუშინ თბილისში ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტულ დარბაზში პირველი ლიგის ქალთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის განმეორებითის მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და როსტოვის „ბურევესტნიკი“. ანგარიშით 62:56 გაიმარჯვეს თბილისელებმა.

ფუალბური ხტომა. სტავროპოლში ვაზეთ „ეომსომოლსკაია პრავდას“ პრიზის გათამაშებაზე თავი იჩაჩვენა მსოფლიოს ჩემპიონმა ირინე კალინინამ (პენზა), რომელიც საუკეთესო იყო ტრამპლინიდან ხტომაში. მეორე ადგილზეა ელენე პავლოვა (კუბანშევი), მესამეზე — ანა დუდინა (სტავროპოლი). ვაჟებში გაიმარჯვა მოსკოველმა ვიაჩესლავ სტარხოვმა. მომდევნო ადგილებზე არიან რუსეთამ ბულატოვი (მოსკოვი) და ვიაჩესლავ ტროშინი (სარატოვი).

რედაქტორი
დ. მეედლიშვილი.

ტელევიზია

11 თებერვალი

პირველი პროგრამით

10.00 — ახალი ამბები (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.10 — დილის ვარჯიში — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 10.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „ჩარხმშენებლები“, მხატვრული ფილმი „თოჯინები დაეხმარნენ“; მუსიკალური ფილმი „მზიური“ ფერადი გამოსახულებით, 17.15 — მოსწავლეთათვის — ფრანგული ენა, 17.45 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „ფეხბურთი უბურთოდ“, 18.10 — მოსწავლეთათვის „გზა მშვენიერებისაკენ“, 18.45 — „გავეფოთხილდეთ ერთნულ ხაუნჯეს“, 19.10 — „საესტრადო პანორამა“ — ფერადი გამოსახულებით, 19.45 — ციკლიდან „ბიზნესის სამყაროში“ — „საიდუმლო სამკუთხედები“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.15 — „ბოამბე“ — სინფორმაციო პროგრამა, 20.40 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — მხატვრული ფილმი „დედის ხელი“, „ბებიები“, 21.00 — „ჩვენი ბიოგრაფია — 1931 წელი“ — ფერადი გამოსახულებით (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.20 — „ეროვნა“ — საინფორმაციო პროგრამა (გადმოცემა მოსკოვიდან), 22.30 — ქართული სატელევიზიო ფილმების ფესტივალი — დოკუმენტური ფილმი „ბაღის სამკაული“, მხატვრული ფილმი „სიყვარული, ხანძარი და პომპიერო“ — ფერადი გამოსახულებით.

მეორე პროგრამით

17.35 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „პამირის ალბომი“, 18.05 — სტუდენტთათვის — მექანიზმებისა და მანქანების თეორია, 18.50 — სატელევიზიო დოკუმენტური ფილმი „რამპა“, 19.10 — განცხადებები, 19.15 — სტუდენტთათვის — უმაღლესი მათემატიკა, 20.00 — ფერადი დოკუმენტური ფილმი „მოსკოვი, მოსკოვი...“, 20.45 — მხატვრული ფილმი „დიდი მიწა“.

თეატრი

11 თებერვალი

ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — დონ პასკუალე; შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — ქალის ტვირთი; კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური — მოჩვენებანი; ვახო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის — ულარამანს ქალი მოკვლავს; მინიატურების სახელმწიფო — ფული და სიყვარული.

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ 380096 თბილისი-96, ლენინის 14. რედაქტორის მოადგილეებს—99-93-03, 99-03-09, პ/მგ მდივნის — 99-72-80, სამდივნოსი — 99-66-10, განყოფილებებისა: პარტიული—99-87-61, პროპაგანდის — 93-22-93, პრეწყველობის — 93-20-34, ხოფლის მეურნეობის — 99-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 93-18-70, მუნიციპალური, უმაღლესი სახწავლებლებისა და სკოლების — 93-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 99-55-01, ინფორმაციის — 93-16-90, უცხოეთის — 99-60-21, წერილების — 99-73-24, ილუსტრაციის — 93-28-54.

ᲠᲩᲔᲣᲚᲘ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ ᲓᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲔᲑᲘ

КОМУНИСТИ ИНДЕКС 66443 УЭ 07559 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, 380008 თბილისი-8, ლენინის ქ. 14.

საუბარი ადგილობრივ საგანზე

ᲡᲘᲜᲓᲘᲖᲘ — ᲩᲐᲚᲘᲡ ᲤᲐᲡᲐᲓ

ᲡᲐᲮᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲢᲔᲮᲐᲡ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲑᲐᲢᲔᲮᲐ ᲡᲯᲝᲒᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ, ᲐᲜᲣ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲞᲘᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲐᲫᲘᲝᲔᲑᲔᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲔᲑᲘᲡᲐ

ᲯᲐᲪᲘ რომ ახალი კუთხე-ქვეყნის, მისი კულტურის, იქაური ხალხის ყოფა-ცხოვრების ახლო გაცნობისა და საკუთარი თვალსაწიერის გაფართოების სურვილი აღეძრას, ეს სავსებით კანონიერი და ბუნებრივია, მით უმეტეს ჩვენს დროში, როცა ხალთა დაახლოება და ურთიერთგაგება, მჭიდრო მეგობრული და საქმიანი კონტაქტების დამყარება სულ უფრო გადამწყვეტი ძალა ხდება ქვეყნად საყოველთაო მშვიდობის დამკვიდრებისათვის ბრძოლაში.

ასევე კანონზომიერია ისიც, რომ მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობისა და კულტურული დონის განუხრელი ზრდის კვალობაზე ტურისტული მოგზაურობის მსურველთა რიცხვი წლითიწლობით მატულობს, და ცხადია, მათ ამ სურვილის დაკმაყოფილების რეალური შესაძლებლობა უნდა ჰქონდეთ.

დიახ, უნდა ჰქონდეთ და აქვთ კიდეც.

ამ უკანასკნელ წლებში სულ უფრო ფართოვდება სოციალისტურ თუ კაპიტალისტურ ქვეყნებში სამოგზაურო ტურისტული მარშრუტების ხესხა, კიდევ უფრო მრავალფერდვანი ხდება მოგზაურობის სახეები და ფორმები, სისტემატიურად იზრდება ტურისტული ჯგუფების რიცხვი.

ყოველწლიურად ხუთიევ კონტინენტის ათობით ქვეყანაში ტურისტული საგზურებით, პირადი მიწვევით და სხვადასხვა დელეგაციების სახით ჩვენი რესპუბლიკის მუშათა კლასის, კოლმეურნე გლეხობის, ინტელიგენციის, მოსწავლე ახალგაზრდობის ათასობით წარმომადგენელი მიემგზავრება. საკმარისია ითქვას, რომ მარტო შარშან უცხოეთში ჩვენი რესპუბლიკის ათი ათასზე მეტმა მშრომელმა იმოგზაურა.

როგორია ტურისტულ მოგზაურობათა უმთავრესი მიზანი?

უწინარეს ყოვლისა, ეს გახლავთ სხვადასხვა ქვეყნების ხალხთა დაახლოება, ერთმანეთს შორის ტექნიკურ-სამეცნიერო და კულტურული თანამშრომლობის ორმხრივი ხიდების გადება, მომმე სოციალისტური ქვეყნების ხალხებთან მეგობრული ურთიერთობის განმტკიცება და გამოცდილების ურთიერთგაზიარება.

ნაკლები მნიშვნელობა არა აქვს აგრეთვე ჩვენი ქვეყნის, ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრების უველა ფრონტზე მოპოვებული გრანდიოზული წარმატებების გაცნობას განსაკუთრებით კაპიტალისტური ქვეყნების ხალხებისათვის, რომლებსაც ბურჟუაზიული ანტისაბჭოთა პროპაგანდის წყალობით, ჯერ კიდევ ბუნდოვანი, მცდარი წარმოდგენა აქვთ საბჭოთა სინამდვილეზე და ჩვენი ხალხის სისხლსავსე ცხოვრებას მრუდე სარკეში ხედავენ.

ერთი სტაყვი, ტურისტული მოგზაურობა ერთობ პასუხსაგები მისიაა. ამიტომ თვითეული ჩვენი ტურისტი, უცხოეთში რომ იმყოფება, თავისი ქცევით უნდა ცხადყოფდეს საბჭოთა ადამიანის დიდ მოქალაქეობრივობას, ავლინებდეს მისთვის ჩვეულ მაღალ მორალურ-ზნეობრივ თვისებებს, განსახიერებდეს უმჭიკვლო პატიოსნებასა და დიდ კეთილშობილებას.

არ შევცდებით, თუ ვიტყვით, რომ რესპუბლიკის წარგზავნილთა მეტი წილი მოვალეობის ღრმა შეგნებით, კეთილსინდისიერად ეკიდება ამ მისიის განხორციელებას და ყველგან, სადაც არ უნდა მოხვდეს, კეთილ კვალს ტოვებს. ამას მოწმობს მსოფლიოს სხვადასხვა კუთხიდან გამოგზავნილი მრავალი მადლობის წერილ, ჩვენი რესპუბლიკის მისამართით რომ მოდის.

ავიღოთ თუნდაც ერთ-ერთი ბარათი ამ მრავალთაგან. მას ხელს აწერს თურქეთში, საბერძნეთსა და ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში საზღვაო კრუიზის დირექტორი ი. პეტროგი. აი რას გვწერს იგი: „ახალგაზრდა სპეციალისტებმა — ექიმებმა რუსუდან ჩიტიაშვილმა და ეროზეფინა ჩხეიძემ საკრუიზო მოგზაურობის დროს თბომავალ „აჭარაზე“ მოქალაქეობრივი გმირობა გამოიჩინეს. გემზე, ურთულეს პირობებში მათ სასწრაფო ოპერაცია გაუკეთეს მოსკოველ ტურისტს, რომელიც მალე გამოკეთდა და თავის ჯგუფთან ერთად მოგზაურობის განგრძობაც შეძლო.

კრუიზის დირექციის სახელით გთხოვთ რ. ჩიტიაშვილსა და ე. ჩხეიძეს გადასცეთ ჩვენი გულწრფელი მადლობა. მათი კეთილშობილური და მამაცური საქციელი წაახალისებისა და საზოგადოებრივი აღიარების ღირსია“.

მართლაც და, რაოდენ სასიხარულო და სამაყოა, როცა შენს თანამოქალაქეებზე ასეთი საქებარი სიტყვები გესმის. თვითეული ასეთი სიტყვა ხომ სახელსა და ღირსებას მატებს ჩვენს ხალხს, ჩვენს რესპუბლიკას.

მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენს ირგვლივ ჯერაც ბოგინობენ ადამიანები, რომლებსაც ტურისტული მოგზაურობის დროს სულ სხვა მიზნები, სურვილები ამოძრავებთ და მას მატერიალური გამორჩენის ხარბი თვალით უყურებენ.

როგორც კი ტურისტულ საგზურს ხელთ იგდებენ, მათი ფიქრი და გონება ეკითვენ არის მიმართული, თუ რა „კონსპირაციული“ საშუალებებით, რა ხერხებით მიაღწონ საბჭოთა ვალუტასა თუ სხვა „სარფიანი“ ნივთების საზღვარზე გატანას, როგორ მოახერხონ მისი გასაღება, რათა შემდეგ გაყიდული სინდისის ფასად შეძენილი და ხვეწნა-ლრეკით მომათხოვრებული „ფირმენი“ ჯინსით თუ ნახმარი პერანგით თავიანთი მეშჩანურ-მერკანტილური სული შემოსონ და საზოგადოებაში თავი მოიწონონ.

ისინი ამ სახელგატეხილ ალმანიანთა მეკრეფში დგანან, ვისაც ჩვენი რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა პროდუქტების გატანა და ერთობ უხვად აღმოაჩნდა „პირადი“ მოხმარების ნივთები ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკაში ტურისტად მიმავალ „ცინიოს“ თბილისის ფილიალის დირექტორის მოადგილეს იოსებ სულაბერიძეს. აი მათი ნუსხა — რვა ბღალი სიგარა, 290 ცალი ფოტოფირი, ორი კომპლექტი ფოტოგამნათებელი, ორი ვენტილატორი და სხვ.

სასტუმრო „თბილისის“ ავტოპროფილაქტორიუმის ავტომდივანმა რობერტ ხაჩატურიანმა და მისმა ცოლმა ალიდა მოდებაძემ, ვიდრე პოლონეთში კერძო მიწვევით გაემგზავრებოდნენ, პროფილაქტიკურ ღონისძიებებზე ფიქრს საკმაოდ დიდი დრო მოანდომეს. ასკერ აზომ-აწონეს 990 მანეთად ღირებული ძვირფასოთლეებიანი ოქროს ბეჭდის საზღვარზე გატანის ყველა შანსი და ბოლოს, როგორც იქნა, მის დასამალად „საიმედო“ ადგილიც შეარჩიეს — ქალის (აცს ენა არ გიბრუნდება სათქმელად)... ქვედა საცვალი. მაგრამ არც ეს საშუალება აღმოჩნდა თურმე „ასპროცენტიანი“ — გადამალული კონტრაბანდული ნივთის კვალს ადვილად მიაგნეს.

საკითხავია, განა რა უნდა შეეძინათ ერთი ოქროს ბეჭდის ფასად ისეთი, ამ წუთების მოეღი სიმძიმე რომ გადაეწონა?

ვლადიმერ პერესიპკინი და მისი მეუღლე სვეტლანა ახვერდიევა რუსთაველის მცხოვრებნი არიან, ამდისაც მივიდა, რომ ქ. ალეპულკოში ვიღაც ტურისტს ამერიკელ მოხუც ქალს „გაუმჯნურდა“ და სიტუქრად... ქალის ნახმარი კაბა და სხვა ეაფფასიანი ნივთები მიიღო.

ამ საქციელს სხვას ვერაფერს უწოდებ, თუ არა ამაზრზენსა და ყოვლად ამორალურს.

აი თურმე ვინ არიან ეს მოქალაქენი, რომლებსაც ავრერიგად მიუწევდათ გული ტურისტული მოგზაურობისაკენ „თვალსაწიერის გასაფართოებლად“.

ᲣᲕᲔᲚᲐᲕᲘᲠᲘ, რაც ზემოთ ითქვა, სამწუხაროდ, ფაქტებია. დასაბამობი და ყოველად შეუწყნარებელი. მაგრამ კიდევ უფრო აღმაშფოთებელი და მიუღებელია, როცა ზოგიერთნი ჩადენილი დანაშაულის კვალის დაფარვას ცდილობენ, თავი მამა აბრამის ბატკნად მოაქვთ და ყალბი პათოსით, ხმაწეული გაიძახიან, როგორ გეკადრებათ, მე და ასეთი საქციელი ძალიან შორიშორსა ვართო, ისინი ცდილობენ, როგორც იტყვიან, საშიშროებას სირაქლემასავით ქვიშაში თავის ჩაყოფით გადაურჩნენ.

საქართველოს სსრ ხე-ტყისა და ხის დამამუშავებელი მრეწველობის სამინისტროს სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველოს მუშაკი ვლადიმერ ჰაეჭანიძე, ტურისტული მოგზაურობიდან დაბრუნებული კაცობას, სინდის-ნამუსს ფიცებდა, ბულგარეთში ტურისტული ჯგუფის ხელმძღვანელად ყოფნის დროს არაფერი შემმთხვეოდაო. მაგრამ, მოგეხსენებათ, მცირეოდენი ტყუილიც კი დიდ უნდობლობას ბადებს, და როცა მისი საქციელით დაინტერესდნენ, პასუხად თვით ვ. ჰაეჭანიძის ხელწერილის პირი მიიღეს, სადაც აღიარებდა დანაშაულს — ელექტროსაპარსის ფუტლიარში ჩადებული 600 მანეთის საზღვარზე მალულად გატანის ცდას.

ვ. ჰაეჭანიძესა და მის მსგავსთა გვინდა შევახსენოთ და ვუჩჩიოთ კარგადაც დაიხსომონ, რომ ცეცხლი თივაში არ დაიმალება.

საბჭოთა მოქალაქისათვის შეუფერებელი საქციელის ჩამდენო, ცხადია, საკადრისად მიეზღოთ — თვითეული მათგანის სამარცხვინო მოქმედება იმ კოლექტივების მსჯელობის და საჯარო განკიცხვის საგანი გახდა, სადაც ისინი მუშაობენ. ზოგიერთის შესახებ შესაბამისი რაიონის პირველადი პარტიული ორგანიზაციების კრებებზეც იმსჯელეს. და ყველგან, სადაც კი ასეთი საზოგადოებრივი სამსჯავრო გაიმართა, ერთსულოვანი გულისწყრომითა და აღშფოთებით დაგმეს ისინი, ვინც, ერთ-ერთი გამომსვლელის სიტყვებით რომ ვთქვათ, „იმპორტული ჭინჭვებისათვის თავისი კოლექტივის ღირსება არარად ჩააგდო, ლაფი გადაავლო მთელ კოლექტივს, რომელმაც მას ნდობა გამოუცხადა, მის სურვილს ანგარიში გაუწია და დადებითი დახასიათება მისცა“.

აქვე გეტყვით იმასაც, რომ ყველა მათგანის მიმართ მიღებულია საჯარო ღონისძიებანი — დაედოთ პარტიული სასჯელი, ბევრი მათგანი ჩამოაქვეითეს ან გაანთავისუფლეს თანამდებობიდან.

სასჯელი სასჯელია, მაგრამ ამ ფაქტებს რომ ვეცნობით, ბუნებრივად იბადება კითხვა: შეიძლებოდა და შეიძლება თუ არა მსგავსი შემთხვევების აღმოფხვრა? ამ კითხვაზე პასუხი ერთია — დიახ, შეიძლებოდა და შეიძლება კიდეც. და ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად პრინციპულად და პასუხისმგებლობით მოვეკიდებით ტურისტულ მოგზაურობაში წასვლის მსურველთა შერჩევას, რამდენად ღრმად ვიქნებით დარწმუნებული მათს იდეურ-პოლიტიკურ სიმწიფესა და მორალურ-ზნეობრივ სიწმინდეში, რამდენად ვინდობით მათს კეთილსინდისიერებას.

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ ამ მოთხოვნებს ყველგან და ყოველთვის არ ითვალისწინებენ და ზოგჯერ საზღვარგარეთ მოგზაურობის მოსურნეს ძალიან იოლად დაჰკრავენ ხოლმე მხარზე ხელს.

აი ამის ერთ-ერთი მაგალითი. თბილისის კალინინის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების ყოფილი უფროსი ინსპექტორი, მილიციის კაპიტანი თამაზ ციმაკურიძე ადრე, რამდენჯერმე ყოფილა შემჩნეული ამორალურ საქციელში და ოჯახის შექმნისადმი ზერელე დამოკიდებულებისათვის საყვედურიც კი ჰქონდა გამოცხადებული საალრიცხვო ბარათში შეტანით. მაგრამ, როცა შარშან ზაფხულში მან რუმინეთ-ბულგარეთში მოგზაურობა გადაწყვიტა, ყველაფერზე თვალი დახუჭეს, შეიცოდეს, აპატიეს და საჭირო დახასიათებაც გაუმზადეს. ასეთ თავზე ხელის გადასმას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ მილიციის კაპიტანს სასაზღვრო პუნქტში ტრანზისტორულ რადიომიმღებში დამალული 300 მანეთი და ბიჟიკში 140 მანეთი უპოვეს. ამჟერად თამაზ ციმაკურიძეს თავზე ხელის გადასმამ ვეღარ უშველა, აღარ შეიცოდეს, აღარ აპატიეს და შინაგან საქმეთა ორგანოებიდანაც დაითხოვეს.

იმ მიზეზთა შორის, რასაც ასეთი სავალალო შედეგებამდე მივყავართ, განსაკუთრებით ყურადსაღებია აგრეთვე შემთხვევები, როცა საბჭოთა ტურისტის ქცევის ნორმების დ